ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

კვირა
30 ივნისი
1940 წ.
№ 149 (5850)
ფასი 10 კაპ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაუმარჯოს საბჭოთა ბესარაბიას და საბჭოთა ბუკოვინას!

საბჭოთა ხალხი დიდი კმაყოფილებითა და სიხარულით ხვდება დღეს გამოქვეყნებულ ცნობას იმის შესახებ, რომ მშვიდობიანად გადაიჭრა საბჭოთა კავშირ-რუმინეთის კონფლიქტი ბესარაბიის და ბუკოვინის ჩრდილოეთი ნაწილის საკითხის გამო. ჩვენი სამშობლოს მშრომელთა გული აღსავსეა სიამაყითა და მადლობით ლენინ-სტალინის პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი, რომლებმაც თავისი ბრძნული, მტკიცე, თანმიმდევრული პოლიტიკით უზრუნველჰყვეს რუმინეთის მიერ 1918 წელს უხეშად დარღვეული სამართლიანობის აღდგენა, გაათავისუფლეს ბესარაბიის და ბუკოვინის ჩრდილოეთი ნაწილის მშრომელნი კაპიტალისტური მონობისაგან.

ამიერიდან ბესარაბია, რომელიც 1918 წლის დამდეგს რუმინეთმა ძალადობით ჩამოჰგლიჯა საბჭოთა კავშირს (რუსეთს), კვლავ შეუერთდა თავის დედა-სამშობლოს, მთელ საბჭოთა მიწაწყალს. მშრომელი ხალხი ბესარაბიისა, დასახლებული უმთავრესად უკრაინელებით, ისევე როგორც ბუკოვინის ჩრდილოეთი ნაწილის მცხოვრებნი, საბჭოთა უკრაინის მცხოვრებთა თვისტომი ძმები და დები, უერთდებიან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხალხთა დიად ოჯახს.

ასრულდა ბესარაბიისა და ჩრდილოეთი ბუკოვინის მშრომელთა ოცნება!

ბესარაბია, რუსეთის მკვიდრი ნაწილი, ოკუპირებულ იქნა რუმინეთის ჯარების მიერ, როდესაც ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა ჯერ კიდევ სუსტი იყო სამხედრო მხრივ, როდესაც ჩვენი სამშობლო მთელ თავის ძალღონეს ძაბავდა, რომ დაემარცხებინა თეთრგვარდიელთა ბანდები, უკუექცია ინტერვენტთა გათავხედებული ურდოები. ისარგებლა რა მაშინ ამით, რუმინეთმა, ინგლისელი და ფრანგი იმპერიალისტების თანხმობით, ზურგში დანა ჩასცა სოციალისტურ რესპუბლიკას. ბესარაბიის ხელში ჩაგდება სხვისი ტერიტორიის თავხედური და ძალდატანებითი ჩამოგლეჯის აქტი იყო. რუსეთის საბჭოთა ფედერატიულ სოციალისტურ რესპუბლიკასა და რუმინეთს შორის 1918 წლის 5-9 მარტს დადებულ შეთანხმებაში, რომელსაც რუმინეთის მხრით ხელს აწერდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი ავერესკუ, ცხადად და არაორაზროვნად იყო ნათქვამი: „1) რუმინეთი კისრულობს ვალდებულებას დასცალოს ბესარაბია ორი თვის განმავლობაში". ხელში ჩაიგდო რა ბესარაბია, რუმინეთმა დაარღვია ხელშეკრულება, რომელსაც თვითონ იგი აწერდა ხელს, ხელშეკრულება, რომელიც ბესარაბიას სცნობდა საბჭოთა რუსეთის განუყრელ, განუყოფელ ნაწილად.

საბჭოთა კავშირი არასოდეს არ შერიგებია ბესარაბიის ანექსიის ფაქტს, რაც სსრ კავშირის მთავრობას არაერთხელ და აშკარად განუცხადებია მთელი მსოფლიოს წინაშე. ჩვენი მთავრობის პოზიცია ამ საკითხში უცვლელი იყო რუმინეთის ჯარების მიერ ბესარაბიის ოკუპაციის მთელი ოცდაორი წლის მანძილზე. სულ ცოტა ხნის წინათ, ა. წ. 29 მარტს, ამხანაგმა მოლოტოვმა თავის მოხსენებაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VI სესიაზე ერთხელ კიდევ მოგვაგონა, რომ, სსრ კავშირსა და რუმინეთს შორის არსებობს გადაუწყვეტელი, სადავო საკითხი — საკითხი ბესარაბიაზე, რომლის ხელში ჩაგდებას რუმინეთის მიერ საბჭოთა კავშირი არ სცნობს და არასოდეს არ სცნობდა.

სსრ კავშირს აღარ შეუძლია მოითმინოს, რომ ოდითვე ჩვენი მიწაწყალი, დასახლებული მეტწილად უკრაინელებით, ითელებოდეს ოკუპანტების ფეხით. სსრ კავშირის სამხედრო სისუსტე წარსულს ჩაჰბარდა. ეს მშვენივრად იციან არა მარტო ჩვენმა მეგობრებმა, არამედ ჩვენმა მტრებმაც. რევოლუციის წლებში, და განსაკუთრებით სტალინური ხუთწლედების პერიოდში, ჩვენი სამშობლო გახდა მძლავრი სოციალისტური სახელმწიფო, რომელსაც ყველა შესაძლებლობა აქვს იმისათვის, რომ დაიცვას და დაიფაროს საბჭოთა ხალხის ინტერესები, იმისათვის, რომ აღადგინოს წარსულ წლებში გაქელილი სამართლიანობა. იმ წლებიდან, როდესაც ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანა, დაუძლურებული, სისხლისაგან დაცლილი, გაპარტახებული, სამხედრო მხრივ ჯერ კიდევ სუსტი იყო, მემკვიდრეობით დარჩა მთელი რიგი გადაუწყვეტელი საარსებო საკითხები, რომლებიც ეხება ჩვენს ურთიერთობას სხვა ქვეყნებთან. ერთერთი ასეთი საკითხი იყო ბესარაბიის საკითხი.

ამჟამად შექმნილი საერთაშორისო ვითარება მოითხოვს წარსულისაგან მემკვიდრეობით მიღებული გადაუწყვეტელი საკითხების უსწრაფეს გადაჭრას. ეს საჭიროა იმისათვის, რომ, ბოლოსდაბოლოს, საფუძველი ჩაეყაროს მტკიცე მშვიდობიანობას ქვეყნებს შორის. ბესარაბიის საკითხი ხელს უშლიდა, აფერხებდა ნორმალურ ურთიერთობას სსრ კავშირსა და რუმინეთს შორის. და სავსებით ბუნებრივია, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობამ საჭიროდ და დროულად ჩასთვალა რუმინეთის მთავრობასთან ერთად შესდგომოდა საბჭოთა კავშირისათვის ბესარაბიის დაბრუნების საკითხის დაუყოვნებლივ გადაწყვეტას.

ბესარაბიის დაბრუნების საკითხი ორგანიულად დაკავშირებულია საბჭოთა კავშირისათვის ბუკოვინის იმ ნაწილის გადმოცემის საკითხთან, რომლის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა დაკავშირებულია საბჭოთა უკრაინასთან როგორც საერთო ისტორიული ბედით, ისე საერთო ენითა და ნაციონალური შემადგენლობით. ცნობილია, რომ ბუკოვინა 1918 წლამდე აგრეთვე არ შედიოდა რუმინეთის შემადგენლობაში, არამედ ეკუთვნოდა ავსტრია-უნგრეთის იმპერიას, რომელიც დაიშალა 1918 წლის რევოლუციის შედეგად. სსრ კავშირის მთავრობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სსრ კავშირისათვის გადმოცემა ბუკოვინის ჩრდილოეთი ნაწილისა, რომლის მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას უკრაინელები შეადგენენ, მით უფრო სამართლიანია, რომ სსრ კავშირისათვის ამ ტერიტორიის გადმოცემა შეიძლება იყოს,—მართალია, მხოლოდ უმნიშვნელო ზომით, — საშუალება იმ უდიდესი ზარალის ანაზღაურებისა, რომელიც მიაყენა საბჭოთა კავშირს და ბესარაბიის მოსახლეობას ბესარაბიაში რუმინეთის 22 წლის ბატონობამ.

საკმარისია ითქვას, რომ რუმინელების მიერ ბესარაბიის ოკუპაციის მხოლოდ პირველი ათი წლის განმავლობაში 300 ათასზე მეტი მისი მკვიდრი მოსახლე იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო. ოკუპირებულ ოლქში დამყარებული კოლონიური ჩაგვრა და ექსპლოატაცია აუტანელი იყო. რუმინეთის ხელისუფლებას ბესარაბიის მშრომელი მოსახლეობა სილატაკესა და უმეცრებაში ჰყავდა. ბესარაბიის მრეწველობა და სოფლის მეურნეობა რუმინეთის ბატონობის წლებში დაეცა: მაგალითად, პირუტყვის რაოდენობა ღარიბ და საშუალო გლეხურ მეურნეობებში ოკუპაციის მხოლოდ პირველი 15 წლის განმავლობაში 48-50 პროცენტით შემცირდა. წერა-კითხვის უცოდინარნი ბესარაბიის სრულასაკოვანი მოსახლეობის 80 პროცენტს შეადგენენ. რუმინეთის ბატონობამ ბესარაბიაში გამოიწვია მშრომელთა მატერიალური და კულტურული გალატაკება, გაპარტახება და ქრონიკული შიმშილობა.

ბესარაბიელი ხალხის უბედურ, აუტანელ ცხოვრებას რუმინეთის მთავრობის ოფიციალური ორგანოებიც კი ვერ ფარავდნენ. აი რას სწერდა გაზეთი „რომენია" 1939 წლის ივლისში ბესარაბიის მდგომარეობის შესახებ:

„ბესარაბიის მოსახლეობა 3.112.654 კაცისაგან შესდგება, რომელთაგან 386.794 ცხოვრობს ქალაქებში და 2.725.860—სოფლებში. გლეხების სილატაკის გამო სოფლებში ყოველწლიურად იხოცება 94.699 ახალდაბადებული ბავშვიდან 59.131. 1937 წლის სტატისტიკა გვიჩვენებს 37.334 კაცს ტუბერკულოზით ავადმყოფს, 24.447—სიფილისით, 17.451—ტრაქომით და 90.000—მალარიით დაავადებულს. სიღარიბის გამო და ჰიგიენურ პირობათა უქონლობით ფართოდ გავრცელებულია ინფექციური დაავადებანი. 1937 წლის სტატისტიკამ აღნიშნა მუცლის ტიფით დაავადების 1.252 შემთხვევა, პარტახტიანი ტიფით დაავადების—5.925, ქუნთრუშით დაავადების—7.105, დიზენტერიით დაავადების 2.255 შემთხვევა და ა. შ."

ბესარაბიის მშრომელნი ოკუპაციის პირველი დღეებიდანვე ეწეოდნენ გააფთრებულ ბრძოლას დამპყრობლების წინააღმდეგ. უკრაინელ და მოლდაველ გლეხთა მრავალრიცხოვან აჯანყებებს რუმინეთის ჯარები და ჟანდარმერია უმაგალითო სიმკაცრით ახშობდნენ. ბესარაბიის ათეულათასობით მუშები, გლეხები და ინტელიგენტები დახოცილ იქნენ მხოლოდ იმისათვის, რომ მათ უცვლელად უყვარდათ თავისი სამშობლო—დიადი საბჭოთა კავშირი, იბრძოდნენ საძულველი რუმინელი დამპყრობლების წინააღმდეგ.

ცნობა სტალინური საგარეო პოლიტიკის ახალი გამარჯვების შესახებ, ცნობა მემამულეთა და კაპიტალისტთა უღლისაგან მილიონობით ჩვენი ძმების—ბესარაბიისა და ჩრდილოეთი ბუკოვინის მშრომელების განთავისუფლების შესახებ გუშინ მთელ ჩვენს ქვეყანას მოედო. ჩვენი ქვეყანა ამ დღეებში ცხოვრობს უდიდესი აღმავლობის ატმოსფეროში, რომელიც გამოწვეულია ახალი ღონისძიებებით სოციალიზმის ქვეყნის თავდაცვითი და სამეურნეო ძლიერების განმტკიცებისათვის — რვასაათიან სამუშაო დღეზე, შვიდდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლით. საბჭოთა კავშირის ხალხები, ბესარაბიის დაბრუნებისა და ბუკოვინის ჩრდილოეთი ნაწილის გადმოცემის ფაქტში თვალსაჩინოდ ხედავენ სოციალისტური სახელმწიფოს ახალ უსისხლო გამარჯვებას, ხედავენ სამშობლოს კეთილდღეობისათვის თავისი შრომის, თავისი მეცადინეობის, თავისი მსხვერპლის ნაყოფს. საბჭოთა კავშირისათვის ბესარაბიის დაბრუნებისა და ჩრდილოეთი ბუკოვინის გადმოცემის ამბავი ახალი საგმირო საქმეებისათვის აღაფრთოვანებს ჩვენი სამშობლოს მილიონობით პატრიოტებს.

„პრავდა", 29/VI.

ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის მშრომელთა ოცნება ასრულდა

საბჭოთა ჯარი კიშინიოვში, ჩერნოვიცში და აკერმანში შევიდა

კიევი, 28 ივნისი (საკდესი). დღეს დღის 2 საათზე საბჭოთა ჯარმა გადალახა რუმინეთის საზღვარი **ბუკოვინის** ჩრდილოეთ ნაწილისა და **ბესარაბიის** მთელ მანძილზე. წითელი არმიის სატანკო ჯარი და მოტორიზებული ქვეითი ჯარი შევიდა **ჩერნოვიცში, ხოტინში, სოროკაში, ბელცში, კიშინიოვში, ბენდერსა და აკერმანში.** საბჭოთა ჯარის წინსვლა გეგმაშეზომილად და სრული წესრიგით ხდება სრულიად უინციდენტოდ. მოსახლეობა ყველგან ხვდება წითელი არმიის ნაწილებს მხიარულად, ყვავილებით, ლოზუნგებით „გაუმარჯოს საბჭოთა ბესარაბიას", „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!"

დადგა განთავისუფლების ჟამი

მოსკოვი, 28 ივნისი (საკდესი). მოსკოვის ელექტრონათურის ქარხნის კოლექტივი არაჩვეულებრივი სიხარულით შეხვდა რადიოთი გადაცემულ ცნობას იმის შესახებ, რომ მოგვარებულ იქნა საბჭოთა კავშირ-რუმინეთის კონფლიქტი ბესარაბიისა და ბუკოვინის ჩრდილოეთ ნაწილის საკითხზე.

დღის მუშაობის დამთავრების შემდეგ ყველა **საამქროსა** და სახელოსნოში ხალხმრავალი მიტინგები გაიმართა.

მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია:

„მოვისმინეთ რა ცნობა საბჭოთა კავშირსა და რუმინეთს შორის ბესარაბიისა და ბუკოვინის ჩრდილოეთ ნაწილის საკითხზე წამოჭრილი კონფლიქტის მოგვარების შესახებ, მხურვალედ მივესალმებით და ვიწონებთ საბჭოთა მთავრობის თანამიმდევრულ სამშვიდობო პოლიტიკას. ბესარაბია უკანონოდ იყო მოწყვეტილი საბჭოთა კავშირისაგან. მისი მოსახლეობა 22 წლის განმავლობაში იმ იმედით ცხოვრობდა, რომ განთავისუფლების ჟამი დადგებოდა. ახლა ის ჟამი დადგა. ამიერიდან ბესარაბიისა და ბუკოვინის ჩრდილოეთ ნაწილის მშრომელები — ჩვენი ღვიძლი ძმები — თავისუფალი, ბედნიერი ცხოვრებით იცხოვრებენ.

ჩვენ მივესალმებით მამაც წითელ არმიას, რომელსაც განთავისუფლება მიაქვს ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის ხალხებისათვის. ჩვენ ყველანი, როგორც ერთი კაცი, ვკისრულობთ ვალდებულებას, კიდევ უფრო უკეთ ვიმუშაოთ და განვამტკიცოთ ჩვენი საყვარელი სოციალისტური სამშობლოს ძლევამოსილება.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ბრძნულ საგარეო პოლიტიკას!

გაუმარჯოს ჩვენს ბელადსა და მასწავლებელს დიდ **სტალინს!**"

დაუვიწყარი შეხვედრა

ვინიცა, 28 ივნისი (საკდესი). თქვენი კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა დნესტრის იამპოლს. მესაზღვრეთა კომენდატურიდან ტელეფონთან მოვიდა პოლიტხელი ამხ. კირუშკინი. მან გვაცნობა:

„როგორც კი ჩაუშვეს წითელი არმიის ნაწილებმა დნესტრის წყლებში საპონტონო ნავები, მდინარის ნაპირს მოაწყდნენ სოფელ კოსოუცის გლეხები, რომლებიც ქოხებიდან და ბოსტნებიდან გამორბოდნენ, წინ მორბოდა სამოცი წლის მოხუცი გლეხი. როდესაც მდინარესთან მოვიდა, იგი მხურვალედ მიესალმა წითელი არმიის მეომრებს.

რამდენიმე წუთის განმავლობაში, სანამ წითელარმიელები ბესარაბიის ნაპირზე გადავიდოდნენ ნავებით, იქ უკვე ასობით გლეხმა მოიყარა თავი. ქალები სიხარულით სტიროდნენ. ისინი ყვავილებს ჰკრეფდნენ და თაიგულებით ხვდებოდნენ მეომრებს, ამასთან, დროშების ნაცვლად, წითელ ხილაბანდებს აფრიალებდნენ.

დნესტრის ნაპირზე, იმ მდინარის ნაპირზე, რომელიც ოცდაორი წლის განმავლობაში ჰყოფდა ბესარაბიისა და საბჭოების ქვეყნის მშრომელებს, დაუვიწყარი, გულისამაჩუყებელი შეხვედრა მოხდა. ბესარაბიელი გლეხები ღვიძლი, საყვარელი ძმებივით ეხვეოდნენ და ჰკოცნიდნენ წითელარმიელებს. ბევრი გლეხი წყალში გადაეშვა, რომ დაეჭირა საპონტონო ნავები, რომლებიც მდინარის სწრაფ დინებას მიჰქონდა. ყველა ცდილობდა დახმარებოდა წითელარმიელებს დნესტრის გადალახვაში, უჩვენებდნენ უკეთეს ფონს, ეხმარებოდნენ იარაღისა და საომარი მასალის ნაპირზე ატანაში.

ახლა ათასობით კაცი დგას ნაპირზე და მიესალმება საბჭოელ ძმებს, რომლებმაც მძიმე უღლისაგან გაათავისუფლა ისინი".

ბესარაბიის მოსახლე ხალხთა ცხოვრების ახალი ერა

1918 წელს რუმინეთმა ისარგებლა მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა საბჭოთა კავშირის სისუსტით და ძალადობით მოსწყვიტა ბესარაბია ჩვენს ტერიტორიას.

22 წელს ბესარაბიის მოსახლე უკრაინელები, მოლდაველები, ებრაელები, რუსები, ბულგარელები და სხვა ხალხები ყოველგვარ შევიწროვებას, რეპრესიასა და გაჭირვებას განიცდიდნენ.

1940 წლის 28 ივნისი ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის მოსახლე ხალხთა ისტორიაში შევა, როგორც დღე ამ ხალხთა განთავისუფლებისა მემამულეების, კაპიტალისტებისა და მათი მფარველების უღლისაგან. ამ დღეს გმირული წითელი არმიის დახმარებით ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის მოსახლე ხალხებმა თავისუფლება მოიპოვეს. ამ დღიდან მოკიდებული ისინი დიადი საბჭოთა კავშირის ხალხების დახმარებით თავიანთ თავისუფალ, ბედნიერ ცხოვრებას შეჰქმნიან.

ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის განთავისუფლება კაპიტალისტური ჩაგვრისაგან დიდი სიხარულია არა მარტო ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის მოსახლე ხალხთათვის, არამედ მთელი საბჭოთა ხალხისთვისაც.

საბჭოთა კავშირის ბრძნულმა საგარეო პოლიტიკამ, რომელსაც სათავეში უდგას მთელი პროგრესიული კაცობრიობის ბელადი ამხანაგი სტალინი და ჩვენი ქვეყნის სამხედრო ძლიერებამ, რომელმაც არნახულ დონეს მიაღწია, შეგვაძლებინეს მშვიდობიანად გადაგვეწყვიტა საბჭოთა კავშირ-რუმინეთის კონფლიქტი ბესარაბიისა და ბუკოვინის ჩრდილოეთ ნაწილის შესახებ.

ამიერიდან ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის მოსახლე ხალხთა ცხოვრებაში ახალი ერა დაიწყო. თავისუფალი, შემოქმედებითი ცხოვრების ერა.

მათს მშვიდობიან შრომას სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ, როგორც დიადი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა მშვიდობიან შრომას, გმირული უძლეველი წითელი არმია სდარაჯობს.

აკადემიკოსი **ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილი**

განმათავისუფლებელთ სიხარულით ხვდებიან

ხოტინი, (ბესარაბია) 28 ივნისი (საკდესი). აუწერელი სიხარულით შეხვდნენ დღეს ბესარაბიის საზღვრისპირა სოფლის ატაკის გლეხები და ხოტინის მცხოვრებნი მშობლიურ წითელ არმიას. დადგა დიდი ხნის ნანატრი დღე, დადგა განთავისუფლების სასიხარულო წუთი. მდინარე დნესტრთან დიდი მოძრაობაა. აი ერთი-მეორეზე მისცურავენ საპონტონო ნავები. ყოველი რამდენიმე წუთის შემდეგ ბესარაბიის მიწაზე გადადიან მეომართა სულ ახალ-ახალი ჯგუფები. მათ გარს ეხვევიან გლეხები. გულისამაჩუყებელი ხელისჩამორთმევა, კოცნა. ჰქუხს მძლავრი „ვაშა" მამაცი წითელი არმიის პატივსაცემად. შეკრებილნი სულითა და გულით გაიძახიან ლოზუნგებს: „გაუმარჯოს დიდ **სტალინს!**" „გაუმარჯოს ამხანაგ **მოლოტოვს!**"

სოფელ ატაკის გლეხები პირველ წუთებიდანვე დიდად დაუმეგობრდნენ წითელი არმიის მეომრებს. ისინი ხარბად ეკითხებიან მათ, თუ როგორ ცხოვრობენ საბჭოთა კავშირში, როგორ შეიცვალა ქვეყანა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 22 წლის განმავლობაში.

შეიძლება მოყვანილ იქნას მრავალი მაგალითი, რომელიც მოწმობს ბესარაბიელ გლეხთა სიყვარულს წითელი არმიისადმი. გლეხები სულითა და გულით სთავაზობენ დახმარებას ჯარის ნაწილებს მდინარეზე გადასვლისას. საბჭოთა ნაპირს ნავი მოადგა. მასში არიან ხნიერი მამაკაცი და რვა წლის შავთვალა, გამხდარი, გაცვეთილხალათიანი, ფეხშიშველა ბიჭუნა. იღლიაში მას რაღაც ფუთა აქვს. მიმართავს რა მეომრებს იგი ეუბნება:

— მიჩვენეთ მეთაური.

— რას იტყვი, შვილო?

— მე მთელმა სოფელმა გამომგზავნა,—ამაყად აცხადებს იგი.

ბიჭი განმარტავს, რომ სოფლის მცხოვრებლებმა დაავალეს მას გადასცეს მეთაურს მცირე საჩუქარი ამხანაგ სტალინისათვის.

ბავშვმა სწრაფად გახსნა ფუთა, ამოიღო პური, მარილი და ცოცხალი ყვავილების დიდი თაიგული.

ეს ხალხის მამისათვის—სტალინისათვის არის.

სოფელ ატაკის მახლობლად მდებარეობს ქალაქი ხოტინი. როცა წითელი არმიის ნაწილები ქალაქში შედიოდნენ, მათ 2-3 კილომეტრზე გამოეგებნენ ასობით მცხოვრებნი, რომელნიც გულმხურვალედ მიესალმნენ დიდი ხნის ნანატრ სტუმრებს. შენობებზე წითელი ბაირაღები აფრიალდა.

ქალაქს ნაშუაღამევამდე არ დაუძინია. მოხუცნი და ახალგაზრდები ერთმანეთს უზიარებდნენ შთაბეჭდილებებს დღევანდელი ისტორიული დღის შესახებ, ლაპარაკობდნენ საბჭოთა ბესარაბიის ბედნიერ მომავალზე.

საბჭოთა მოლდავეთის კოლმეურნეების სიტყვა

დღეს ჩვენ მშობლიურ მოსკოვში შევიტყეთ მშვიდობიანობის ბრძნული სტალინური პოლიტიკის ახალი სახელოვანი გამარჯვების ამბავი. მოსპობილია მრავალი წლის უსამართლობა. ამიერიდან ჩვენი თვისტომი ძმები, რომლებიც ბესარაბიასა და ბუკოვინის ჩრდილოეთ ნაწილში მოსახლეობენ, საბჭოთა უკრაინას და მთელ მრავალმილიონიან საბჭოთა ხალხს შეუერთდებიან.

ჩვენ, საბჭოთა მოლდავეთის კოლმეურნეები, განსაკუთრებული კმაყოფილების გრძნობით შევხვდით ცნობას ისტორიაში ამ უაღრესად სამართლიანი აქტის შესახებ. 22 წლის განმავლობაში ჩვენ უსამართლოდ დაწესებულ საზღვართან ვცხოვრობდით. რუმინელ დამპყრობელთა მიერ გათიშული ძმები 22 წლის განმავლობაში ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ. მაგრამ ჩვენ არასოდეს არ გვიცვნია ბესარაბიის თავხედური, ძალადევი მოწყვეტა საბჭოთა კავშირისაგან.

დნესტრის მარცხენა ნაპირზე, თვალუწვდენ მინდვრებზე, მოლდავეთის რესპუბლიკის მინდვრებზე აყვავდა ახალი, ბედნიერი ცხოვრება. მოლდავეთის ხალხი საბჭოთა კავშირის ხალხთან ძმურ ოჯახში ანვითარებს მრეწველობას და სოფლის მეურნეობას, თავის მეცნიერებას, თავის კულტურას, ფორმით ნაციონალურ და შინაარსით სოციალისტურ კულტურას.

იქ კი, მეორე ნაპირზე თავისუფლების მოყვარული ჩვენი ძმები, რომლებიც ბესარაბიაში მოსახლეობდნენ, ამ დროს მონობისა და ჩაგვრის ხუნდებით იყვნენ შებორკილი. ჩვენ კარგად ვიცით, თუ რა მძიმე იყო ბესარაბიის მშრომელთა ბედი. ერთი ჩვენგანი—მოლდაველი ივანე გოლშა—დიდი ხანია ცხოვრობს სოფელ სუკლეაში, ზედ საზღვართან. დნესტრის გაღმა მდებარეობს ბესარაბიის სოფელი კისკანი, რომელიც რუმინეთმა ძალით მოგვწყვიტა 1918 წელს.

სუკლეელი კოლმეურნეები ყოველდღე ხედავდნენ რუმინელი ბატონების მიერ დაჩაგრულ ბესარაბიელ გლეხთა მძიმე, უმწეო ცხოვრებას. გლეხები ჯერ კიდევ გათენებამდე გამოდიოდნენ თავიანთ მიწის პატარა ნაკვეთებზე და იქ ცოდვილობდნენ შუაღამემდე, რათა როგორმე გაეტანათ თავი. ნაყოფიერ მიწებს ხის იარაღებით ამუშავებდნენ. ძონძებსა და კონკებში იყო გახვეული ბესარაბიის მშრომელი ხალხი.

სამაგიეროდ კისკანში ბევრი მონასტერი იყო. ამ მონასტრებში მთელი დღე გაისმოდა ზარების რეკა. კონტრრევოლუციური ბერები ჯიბეს იქსელებდნენ გლეხთა ოფლითა და სისხლით. გამეფებული იყვნენ სისხლისმწოველი წურბელები—ბატონი და კულაკი. გამეფებულიყვნენ მექარხნეები და ფაბრიკანტები.

დიდი იმედით შემოჰყურებდნენ ბესარაბიის მშრომელები დნესტრის მარცხენა ნაპირს. იყურებოდნენ იქით, სადაც სიხარულის სიმღერას მღეროდნენ მათი ღვიძლი ძმები. მათ იცოდნენ, რომ ისინი არავის დაჰვიწყებია. მათ სწამდათ რომ საბჭოთა ხალხი გაათავისუფლებს მათ რუმინელი ბატონების სისხლიანი თათებისაგან. და აი დადგა განთავისუფლების ჟამი. დიად წითელ არმიას — განმათავისუფლებელ არმიას თავისუფლება და ბედნიერება მიაქვს მილიონობით მშრომელებისათვის, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში ჰგმინავდნენ საძულველ უღელქვეშ.

სიხარულით ვბრუნდებით **ჩვენ** გამოფენიდან მშობლიურ კოლმეურნეობებში, რომელთა მახლობლადაც უკვე წაიშალა უსამართლო საზღვრები. სალამი შენ, ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის მშრომელო ხალხო! ჩვენ მთელი ფიქრით მუდამ შენთან ვიყავით, ხოლო ახლა ხელიხელჩაკიდებულებმა ვაშენოთ ერთად ბედნიერი, სასიხარულო და კულტურული ცხოვრება.

მოლდავეთის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეები — სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილენი და ექსკურსანტები: **ი. ლ. გოლშა** — ტირასპოლის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნი სადოვოდის" ბრიგადირი; **ი. ა. ბადიული**—ბალტის რაიონის პოლიტგანყოფილების სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე; **მ. კ. გოლუბკოვი** — კოტოვის რაიონის ჩაპაევის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი; **პ. ხ. გონჩარუკი** — ბალტის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის ქოხ-ლაბორატორიის გამგე; **მ. ნ. ოგოროდნიკი**—კოტოვის რაიონის ილიჩის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ქუთაისის სახელმწიფო თეატრის მუშაკთა დაჯილდოების შესახებ

ქუთაისის სახელმწიფო თეატრის დაარსების სამოცი წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით თეატრალური ხელოვნების დარგში თვალსაჩინო წარმატებისათვის —

1. მიენიჭოთ საპატიო წოდებანი თეატრის შემდეგ მუშაკებს:

ა) **საქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდება** — საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტებს:

ანთაძე დოდო კონსტანტინეს-ძეს, თეატრის დირექტორსა და სამხატვრო ხელმძღვანელს;

ზარდალიშვილს იუზა ფრანცის-ძეს, მსახიობს.

ბ) **საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება:**

ვახვახიშვილს თამარ ნიკოლოზის-ასულს, კომპოზიტორს;

სულიაშვილს გრიგოლ სოკრატეს-ძეს, რეჟისორს.

გ) **საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის წოდება** — თეატრის მსახიობებს:

ამირაჯიბს ეკატერინე გიორგის-ასულს;

მურუსიძეს ანდრია ისიდორეს-ძეს;

ჩხიკვაძეს ვარლამ ნესტორის-ძეს;

ხონელს შალვა სიმონის-ძეს.

2. დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით:**

იმედაშვილი ალექსანდრე სოლომონის-ძე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი;

აბესაძე კაპიტონ მელქისედეკის-ძე, მსახიობი;

კიკნაძე თამარ ივანეს-ასული, „

მეგრელიშვილი ვახტანგ პავლეს-ძე „

ნაცვლიშვილი გრიგოლ ალექსანდრეს-ძე, „

სვანიძე მიხეილ ევგენის-ძე „

ჩხიკვაძე ვარლამ ნესტორის-ძე, „

ხვიჩია იპოლიტე ალექსანდრეს-ძე, „

მარჯანიშვილი გრიგოლ ივანეს-ძე, დირიჟორი

მჭედლიშვილი ბაგრატ გრიგოლის-ძე, სცენის მემანქანე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. ეგნატაშვილი.

თბილისი.
1940 წ. 29 ივნისი

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ქუთაისის სახელმწიფო თეატრისათვის ლადო მესხიშვილის სახელის მიკუთვნების შესახებ

დაკმაყოფილდეს ქუთაისის სახელმწიფო თეატრის მუშაკთა შუამდგომლობა და ამავე თეატრის არსებობის 60 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით ქუთაისის სახელმწიფო თეატრს მიეკუთვნოს ლადო მესხიშვილის სახელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. ეგნატაშვილი.

თბილისი.
1940 წ. 29 ივნისი.

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. კ. ნ. ნიკიტინი გაათავისუფლა სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მოვალეობისაგან ესტონეთში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ვლადიმერ ბორისის-ძე **ბოჩკარევი** დანიშნა სსრ კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლად ესტონეთში.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. **დ. ვ. კრავცოვი** დანიშნა სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო ბანკის მმართველად.

კომუნიკე

სავაჭრო ხელშეკრულების ხელმოწერა სსრ კავშირსა და ფინეთს შორის

1940 წლის 28 ივნისს მოსკოვში ხელმოწერილ იქნა სავაჭრო ხელშეკრულება და შეთანხმება სსრ კავშირსა და ფინეთს შორის გადასახდელთა შესახებ.

სავაჭრო ხელშეკრულება ითვალისწინებს ორივე მხარის მიერ მეტი უპირატესობის პრინციპის გამოყენებას.

სავაჭრო ხელშეკრულების სპეციალური დანართით მოწესრიგებულია უფლებრივი მდგომარეობა სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობისა ფინეთში.

საქონელბრუნვის შესახებ დადებული სავაჭრო ხელშეკრულების ოქმით საერთო საქონელბრუნვა სსრ კავშირსა და ფინეთს შორის ხელშეკრულების მოქმედების პირველი წლისათვის განსაზღვრულია 7,5 მილიონი ამერიკული დოლარის რაოდენობით თვითეული მხრიდან, ესე იგი 15 მილიონი დოლარის საქონელბრუნვა სსრ კავშირსა და ფინეთს შორის.

ფინეთი საბჭოთა კავშირს მოაწვდის ბუქსირებს, ლიხტერებს, ელექტრომოწყობილობას, სპილენძის სადენს, ტყავს, ტექნიკურ ქაღალდს, კარაქს, ხორცსა და სხვა საქონელს. საბჭოთა კავშირი ფინეთს მიაწოდებს ხორბალსა და ჭვავს, ნავთის პროდუქტებს, მარგანეცის მადანს, ბამბას, თამბაქოსა და სხვა საქონელს.

საბჭოთა კავშირის მხრიდან ზემოაღნიშნულ შეთანხმებას ხელი მოაწერა სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარმა ამხ. ა. ი. მიქოიანმა, ფინეთის მხრიდან — ფინეთის რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრმა ბ-ნმა ვ. ა. კოტილაინენმა და ფინეთის რესპუბლიკის საგანგებო დესპანმა და სრულუფლებიანმა მინისტრმა სსრ კავშირში ბ-ნმა ი. კ. პაასიკივიმ. (საკდესი).

ამხ. ნ. მ. შვერნიკის მიერ პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს მე-9 პლენუმზე გაკეთებული მოხსენების გამოცემა

მოსკოვი, 28 ივნისი (საკდესი). პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა ბროშურა „რვა საათის სამუშაო დღეზე, შვიდდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლის შესახებ და საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან მუშათა და მოსამსახურეთა თვითნებურად წასვლის აკრძალვის შესახებ" — ამხ. ნ. მ. შვერნიკის მოხსენება პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს IX პლენუმზე 1940 წ. 25 ივნისს.

ბროშურაში შეტანილია აგრეთვე: პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს მიმართვა ყველა მუშისა და მუშაქალისადმი, ინჟინრისა, ტექნიკოსისა და მოსამსახურისადმი, პროფესიული კავშირების ყველა წევრისადმი; სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „რვა საათის სამუშაო დღეზე, შვიდდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლის შესახებ და საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან მუშათა და მოსამსახურეთა თვითნებურად წასვლის აკრძალვის შესახებ", სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება „8 საათის სამუშაო დღეზე გადასვლასთან დაკავშირებით გამომუშავების ნორმების გადიდებისა და შეფასებათა შემცირების შესახებ".

ბროშურა გამოცემულია 500.000 ცალი ტირაჟით.

გაიხსნა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

(ბათუმი, „კომუნისტის" კორესპონდენტისაგან)

29 ივნისს, საღამოს 7 საათზე, აჭარის სახელმწიფო თეატრში გაიხსნა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესია.

სესია გახსნა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დეპუტატმა მარო მახარაძემ.

დეპუტატ შ. ბერიძის წინადადებით სესიამ დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი:

აჭარის ასს რესპუბლიკის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება და 1938 და 1939 წლების ბიუჯეტების შესრულების შესახებ ანგარიშის დამტკიცება.

შეაქვს აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს.

ამ საკითხზე სესიამ მოისმინა აჭარის ასსრ ფინანსთა სახალხო კომისრის ამხ. ბ. ხალვაშის მოხსენება.

აჭარის 1938 წლის ბიუჯეტი საშემოსავლო ნაწილში შესრულებულია 100,2 პროცენტით, ხოლო გასავლის ნაწილში — შესრულება უდრის 99,1 პროცენტს. 1939 წლის ბიუჯეტი საშემოსავლო ნაწილში, გათვალისწინებული 55.000.417 მანეთით, შესრულებულია 58.944.700 მანეთით. ბიუჯეტის გასავლის ნაწილი შესრულებულია 56.843.300 მანეთით.

— 1940 წლის აჭარის სახელმწიფო ბიუჯეტის მოცულობა, — ამბობს მომხსენებელი, — განსაზღვრულია 56.285.600 მანეთით. აქედან სოციალურ - კულტურულ ღონისძიებებზე გათვალისწინებულია 41.728.100 მანეთი, ანუ ბიუჯეტის 74,2 პროცენტი.

ამხ. ხალვაშის მოხსენების შემდეგ სესიამ მოისმინა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ზ. პირაშვილის მოხსენება. ამის შემდეგ სესიის პირველი სხდომა დაიხურა.

რწმუნების სიგელების გადაცემა დიდი ბრიტანეთის ელჩის ბ-ნ სტაფორდ კრიპსის მიერ

28 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. **მ. ი. კალინინმა** მიიღო დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბ-ნი **სტაფორდ კრიპსი,** რომელმაც მას გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

„სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის" დღესასწაულის შესახებ

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაადგინა „სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის" დღესასწაული 1940 წელს 24 ივლისიდან გადაიტანოს 28 ივლისს — კვირას (საკდესი).

ბესარაბია და ბუკოვინის ჩრდილოეთი ნაწილი

(ცნობა)



ბესარაბია რუსეთის ძველისძველი ტერიტორიაა, რომელიც მის ხელში გადავიდა 1812 წელს ბუქარესტის ზავით. რუმინეთის მიერ 1918 წლის იანვარში ძალადობით დაპყრობამდე ეს იყო რუსეთის გუბერნია, რომელიც მდებარეობდა მდინარე დნესტრსა, პრუტსა და დუნაის შესართავს შორის (კილიკის ყელი). ბესარაბიის სამხრეთი საზღვარია შავი ზღვა.

ბესარაბიის ფართობი შეადგენს 45.638 კვადრატულ კილომეტრს. თავისი ფართობით ბესარაბია აღემატება ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოს: ბელგიას, ჰოლანდიას, შვეიცარიას. მოსახლეობა 1938 წლის 1 ივლისის ცნობებით, 3.147.646 კაცს უდრიდა. რუსეთის მიერ 1897 წელს ჩატარებული აღწერის ცნობებით, ბესარაბიაში მცხოვრები უკრაინელები, მოლდაველები და რუსები მოსახლეობის 76 პროცენტს შეადგენდნენ, ებრაელები—12 პროცენტს, ბულგარელები—5 პროცენტს და სხვ. ბესარაბიის მთავარი ქალაქია კიშინიოვი.

რუმინეთის მიერ ოკუპაციამდე ბესარაბია უმდიდრეს სამიწათმოქმედო რაიონს წარმოადგენდა. მთავარი კულტურებია: ხორბალი, ქერი, სიმინდი, მზესუმზირა. ბესარაბია გამოირჩევა საუცხოო ჰავით, რომელიც შესაძლებელს ჰხდის გაშენებულ იქნას ისეთი ძვირფასი კულტურები, როგორიც არის ყურძენი, სიმინდი, თამბაქო. ბესარაბიის ნიადაგი უაღრესად ნაყოფიერია. ბესარაბიაში ამუშავებდნენ მთელი სახნავი მიწის 99,3 პროცენტს.

ბესარაბიაში განვითარებულია ხვნა-თესვა, მევენახეობა და მებაღეობა. მრეწველობიდან განვითარებულია უმთავრესად კვების მრეწველობა (საფქვავი მრეწველობა, სპირტის სახდელი მრეწველობა და სხვ.).

ექსპორტის საგნები: პური, ხილი, კაკალი, ხოლო ოკუპაციამდე—პირუტყვი, ტყავი, მატყლი, ღვინო, თამბაქო და სხვ.

ოკუპაციამდე ბესარაბია ეკონომიურად უაღრესად მჭიდროდ იყო დაკავშირებული დანარჩენ რუსეთთან. იგი მანუფაქტურას იღებდა მოსკოვის სამრეწველო რაიონიდან, ქვანახშირს—დონბასიდან, ნავთს—ბაქოდან და სხვ.

ბესარაბიის პროდუქტები გაჰქონდათ უკრაინაში და ოდესით—მსოფლიო ბაზრებზე.

1918 წლის თებერვლის დასაწყისში რუმინეთის მმართველმა ხროვამ, ისარგებლა რა სამოქალაქო ომის ფრონტებზე საბჭოთა რუსეთის მძიმე მდგომარეობით, თავისი ჯარი შემოიყვანა ბესარაბიის ტერიტორიაზე და მისი ოკუპაცია მოახდინა. 1918 წლის 5 მარტს რუმინეთის მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა, გენერალმა ავერესკუმ რუსეთის სფს რესპუბლიკის რწმუნებულთან ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლითაც რუმინეთმა ვალდებულება იკისრა გაეყვანა თავისი ჯარი ბესარაბიიდან და შემდეგში არ ჩარეულიყო მის შინაურ საქმეებში. მაგრამ უკვე 1918 წლის 27 მარტს რუმინეთის სამხედრო ხროვამ, სისხლისმღვრელი ძალადობისა და უაღრესად უხეში სიყალბის საშუალებით, მოაწყო რუმინეთისადმი ბესარაბიის „შეერთების" აქტის ინსცენირება. ეს, თავისი ცინიზმით უმაგალითო სიყალბე განხორციელებულ იქნა შემდეგნაირად: ბესარაბიაში იმ დროს არსებობდა ბესარაბიის სამხარეო საბჭო ანუ მოლდავურად „სფატულ ცერიი". რუმინეთის მიერ ბესარაბიის ტერიტორიის ოკუპაციის შემდეგ „სფატულ ცერიი" თვითნებურად შეავსეს რუმინეთის ხელისუფალთა აგენტებით, რომლებმაც იქ უმრავლესობა შეადგინეს. ამავე დროს „სფატულ ცერიის" ზოგიერთი ფრიად თვალსაჩინო წევრი, როგორც კატაროსი, პანცირი, პრინციკი, ჩუმაჩენკო, გრიუნფელდი, ლიტვინოვი, რუმინეთის ხელისუფლებამ დახვრიტა ანექსიისადმი წინააღმდეგობის გაწევის გამო. რუმინეთის სამხედრო ხროვის მიერ შეთითხნილმა ამ ორგანომ შეასრულა სწორედ რუმინელ დამპყრობთა განკარგულება.

რუმინეთის ინგლისელმა და ფრანგმა მფარველებმა, რომელთა კარნახითაც მოქმედებდნენ ოკუპანტები, რა თქმა უნდა, „კანონიერად" სცნეს რუმინეთის მიერ ჩადენილი მტაცებლური აქტი. 1922 წლის აპრილში, საგარეო საქმეთა მინისტრ კერზონის დროს, ინგლისის პარლამენტმა რატიფიკაცია უყო ხელშეკრულებას, რომელიც სცნობდა რუმინეთის სუვერენიტეტს ბესარაბიის ტერიტორიაზე. ასეთივე გადაწყვეტილება მიიღო საფრანგეთის პარლამენტმა 1924 წლის 19 მარტს. ჯერ კიდევ პირველი იმპერიალისტური ომის პერიოდში ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტებმა, რომლებიც ცდილობდნენ ჩაებათ რუმინეთი ომში თავიანთ მხარეზე, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი მაშინ ინგლისისა და საფრანგეთის მოკავშირე იყო, რუმინეთს შესთავაზეს რუსეთის ტერიტორია — ბესარაბია—როგორც „კომპენსაცია" ომში მონაწილეობისათვის. ბესარაბიის ტერიტორიაზე მზადდებოდა სსრ კავშირზე იმპერიალისტების სამხედრო თავდასხმის ერთერთი პლაცდარმი.

ბესარაბიიდან გადაჰქონდათ სამრეწველო საწარმოები, აძევებდნენ „არასასურველ ელემენტებს". ბესარაბიაში დააბანაკეს რუმინეთის დიდძალი ჯარი, აგებდნენ მძლავრ სიმაგრეებს და სხვ. ბესარაბიაში აღვირახსნილი აგიტაცია სწარმოებდა სსრ კავშირის წინააღმდეგ.

O

მოახდინეს რა ბესარაბიის ოკუპაცია, რუმინეთის სამხედრო ხროვამ და რუმინელმა ბატონებმა დაპყრობილ ტერიტორიაზე დაუყოვნებლივ აღადგინეს მემამულეთა ძალაუფლება, ჟანდარმთა მათრახის ბატონობა. გლეხებს მიწა წაართვეს და გადასცეს მემამულეებს და კულაკებს — ახალმოშენეებს. რუმინელი ბატონებისა და მემამულეთა მხრივ ექსპლუატაციამ გლეხობა სრულ სიღატაკემდე მიიყვანა.

რუმინეთის დამქაშების ბატონობის შედეგად თითქმის სავსებით მოისპო მხარის მრეწველობა, რამაც გამოიწვია მუშათა კლასის შემცირება და გაღატაკება. ბესარაბიის ქალაქები დაიცალა. რუმინეთის პრესის ცნობებით, რუმინეთის ოკუპაციის პირველი 14 წლის განმავლობაში ბესარაბიის მთავარი ქალაქის კიშინიოვის მოსახლეობა თითქმის ერთი მესამედით შემცირდა. რუმინეთის ბურჟუაზიული გაზეთებიც კი კიშინიოვს „ღატაკების" ქალაქს უწოდებდნენ. აი რუმინეთის ოფიციოზის—გაზეთ „რომანიას" საგულისხმო აზრი ბესარაბიის მდგომარეობის შესახებ, რაც მან 1939 წლის 31 ივლისს გამოსთქვა: „ბესარაბიელ გლეხთა სიღარიბის შედეგად 94.699 ახლადდაბადებულიდან ყოველწლობით კვდება სოფლად—59.131 ახლადდაბადებული. 1937 წლის სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ტუბერკულოზით დაავადებულია 47.334 კაცი, ტრახომით—17.451 და მალარიით—90 ათასი კაცი. სიღარიბისა და ჰიგიენური პირობების უქონლობის გამო, ფართოდ არის გავრცელებული ინფექციური სნეულებანი".

ბესარაბიის მშრომელებმა ოკუპაციის პირველი დღეებიდანვე დაიწყეს ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის.

ეს ბრძოლა გამოიხატა მრავალი შეიარაღებული აჯანყებით, რომელთაგან ყველაზე დიდი იყო: ხოტინის აჯანყება 1919 წელს და ტატარბუნარის აჯანყება 1924 წელს.

რუმინეთის სიგურანცა (ოხრანკა) და ჯარი სისხლის მორევში ახრჩობდნენ გლეხობის ამ მასობრივ გამოსვლებს.

რუმინეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკის თანახმად, ბესარაბიაში მარტო 1924 წლამდე 153 აჯანყება მოხდა. რუმინეთის ოკუპაციის მხოლოდ პირველი 10 წლის განმავლობაში სიგურანცამ და საოკუპაციო ჯარმა გაუსამართლებლად და სამხედრო სასამართლოების განაჩენით 30 ათასი კაცი მოჰკლეს, მაგრამ, უეჭველად, ეს ციფრიც შემცირებულია.

საოკუპაციო რეჟიმმა გამოიწვია ბესარაბიიდან მოსახლეობის გაქცევა სსრ კავშირში, დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და ამერიკაში. ოკუპაციის უკვე პირველი 10 წლის განმავლობაში ბესარაბია სულ ცოტა 300 ათასმა კაცმა დასტოვა. მასობრივი ემიგრაცია შემდგომ წლებშიც არ შემცირებულა.

O

ბუკოვინა არის რუმინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ოლქი. ბუკოვინის ჩრდილოეთ ნაწილის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა როგორც საერთო ისტორიული ბედის, ისე საერთო ენისა და ნაციონალური შემადგენლობის მხრივ დაკავშირებულია საბჭოთა უკრაინასთან. 1918 წლის 3 ნოემბერს, რუმინეთის ჯარის მიერ ჩერნოვიცის დაკავებამდე რამდენიმე დღით ადრე ჩერნოვიცში შეიკრიბა ბუკოვინის ყველა კუთხიდან ჩამოსული მუშათა და გლეხთა ხალხმრავალი მიტინგი, რომელმაც მოითხოვა ბუკოვინის შეერთება უკრაინასთან. მაგრამ სევრის კონფერენციამ (1920 წლის აგვისტო) ბუკოვინის მთელი ტერიტორია რუმინეთს მიაკუთვნა.

ჩრდილოეთ ბუკოვინაში უმთავრესად უკრაინელი მოსახლეობა არის. ენისა და ყოფა-ცხოვრების მხრივ ბუკოვინელი უკრაინელები არ განსხვავდებიან პოდოლიისა და ვოლინის უკრაინელებისაგან.

ბუკოვინის ჩრდილოეთ ნაწილში ძლიერ არის განვითარებული მიწათმოქმედება. განსაკუთრებით დიდია მარცვლეული კულტურების მოსავალი ბუკოვინის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, დნესტრსა და პრუტს შუა მდებარე ვაკეზე. ჩრდილოეთ ბუკოვინის მთავარი მარცვლეული კულტურებია: სიმინდი, შვრია, ქერი, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს კარტოფილის კულტურას. ამ კულტურას აქ მთელი სათესი ფართობის 20 პროცენტი უჭირავს.

ბუკოვინის მთავარი ქალაქი ჩერნოვიცი მდებარეობს მდინარე პრუტზე. 1938 წლის ცნობების თანახმად, ქალაქში 109.821 მცხოვრები იყო. ჩერნოვიცში არის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამმუშავებელი ქარხნები, აგრეთვე თუჯსასხმელი ქარხანა.

რუმინეთის ოკუპაციამ მეტისმეტად გააუარესა ჩრდილოეთ ბუკოვინის, განსაკუთრებით გლეხობის მდგომარეობა. რუმინეთის ხელისუფალთა მიერ 1921 წელს ჩატარებული მიწის „რეფორმის" შედეგად უკრაინელ გლეხებს მიწებიდან ერეკებოდნენ, ხოლო ამ მიწებზე რუმინელ ჟანდარმებსა და „კეთილსაიმედო ელემენტებს" ასახლებდნენ. ბუკოვინის უკრაინელი მოსახლეობა სასტიკ ნაციონალურ ჩაგვრას განიცდიდა. დახურული იყო ყველა უკრაინული სკოლა და საგანმანათლებლო საზოგადოებანი.

ჩრდილოეთ ბუკოვინის უკრაინელი გლეხობა არაერთხელ აჯანყებულა რუმინელ ოკუპანტთა წინააღმდეგ.

O

მთელი 22 წლის მანძილზე საბჭოთა მთავრობა არაერთხელ აცხადებდა, რომ მას არ უცვნია და არც არასოდეს იცნობს ბესარაბიის ძალადობით დაპყრობას. 1940 წლის 26 ივნისს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. მოლოტოვმა წარდგინებით მიმართა რუმინეთის ელჩს მოსკოვში. ამ წარდგინებით საბჭოთა მთავრობამ წინადადება მისცა რუმინეთის მთავრობას დაუბრუნოს სსრ კავშირს ბესარაბია და გადასცეს ბუკოვინის ჩრდილო ნაწილი.

რუმინეთის მთავრობამ მიიღო სსრ კავშირის მთავრობის წინადადება.

საბჭოთა კავშირ-რუმინეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრა სსრ კავშირის სამშვიდობო პოლიტიკის უდიდეს გამარჯვებას წარმოადგენს.

ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის მშრომელთათვის დგება ისტორიული განვითარების ახალი ხანა. ისინი შედიან სსრ კავშირის იმ ხალხთა ძმურ ოჯახში, რომლებიც დიდი **სტალინის** გენიალური ხელმძღვანელობით ძლევამოსილად აშენებენ სასიხარულო, ბედნიერ და ბრწყინვალე ცხოვრებას.

რუმინეთის მთავრობის რეორგანიზაცია

ბუქარესტი, 28 ივნისი (საკდესი). როგორც რუმინეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, გადადგნენ: საგარეო საქმეთა მინისტრი ჟიგურტუ, უპორტფელო მინისტრი ურდარიანუ, პრემიერის კაბინეტის უფროსი რადუ პორტოკალა, საგარეო ვაჭრობის მინისტრი ქრისტუ, კულტების მინისტრი ჩიოპანუ და კულტების სამინისტროს სტატს-მდივნის თანაშემწე სიბიტეანუ.

დანიშნული არიან: საგარეო საქმეთა მინისტრად—სენატის თავმჯდომარე არჯეტოიანუ, დეპუტატთა პალატის თავმჯდომარის სტატს-მდივნებად—ვაიდა-ვოევოდა, ინკულეცი და ნისტორი. ნაციონალური ეკონომიკის მინისტრი კანჩიკოვი დროებით კისრულობს საგარეო ვაჭრობის სამინისტროს ხელმძღვანელობას. ყოფილი პროპაგანდის მინისტრი ჯიურესკუ დანიშნულია კულტების მინისტრად. მის ნაცვლად პროპაგანდის მინისტრად დანიშნულია სიდოროვიჩი.

ცალკე ცნობაში რუმინეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ პროფესორი ხორია სიმა დანიშნულია განათლების სამინისტროს სტატს-მდივნად, ხოლო დოქტორი იონ შიმონესკუ—სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სტატს-მდივნად.

ვიმუშაოთ მეტი, უკეთესად, უფრო ნაყოფიერად!

გავადიდებთ შრომის ნაყოფიერებას, არ დავინდობთ წარმოების დეზორგანიზატორებს

ჩვენი სამშობლოს კიდევ უფრო გაძლიერების, მისი ეკონომიური და სამხედრო ძლიერების განმტკიცების მძლავრ ბერკეტს წარმოადგენს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება, რომელიც 27 ივნისიდან მოქმედებაშია.

ბელადის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის მუშაკთა კოლექტივმა, ერთსულოვნად მოიწონა რა აღნიშნული ბრძანებულება, 8-საათიან სამუშაო დღეზე გადასვლის პირველ დღესვე თავდადებული და შეუპოვარი მუშაობის საუცხოო მაგალითები გვიჩვენა. ცალკე ბრიგადებმა და სტახანოველებმა, 8-საათიანი სამუშაო დღის გეგმა 300-400 პროცენტით შეასრულეს.

რვა საათის სამუშაო დღეზე და შვიდდღიან კვირაზე გადასვლა შრომის ნაყოფიერების ზრდის მძლავრი საშუალებაა, იგი გამოიწვევს შრომის ნაყოფიერების უმაგალითო ზრდას და ეს კი საბოლოო ანგარიშით ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის.

ჩვენ უკვე გამოვიანგარიშეთ ჩვენი ქარხნის შესაძლებლობანი. ამ ღონისძიებების გატარებით ქარხნის კოლექტივი წლიურად მისცემს სამშობლოს ახლანდელ გეგმის გადამეტებით 6.300 ათასი მანეთის პროდუქციას. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყანა ზედმეტად მიიღებს მაღალხარისხოვნად შეკეთებულ 58 ორთქლმავალს, 46 სახალხო ვაგონს და 288 საბარგო ვაგონს; უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შრომის ნაყოფიერების გადიდებასთან დაკავშირებით 700.000 მანეთით შემცირდება ზედნადები ხარჯები.

აქვე უნდა ვილაპარაკოთ შრომის დისციპლინის განმტკიცების საკითხზე. სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ კიდევ გვყავს ზარმაცები, უქნარები, ცუღლუტები, გამცდენები, ფრენიები, შრომის დეზორგანიზატორები, ადამიანები, რომლებიც ცდილობენ რაც შეიძლება ცოტა იმუშაონ და რაც შეიძლება მეტი წაჰგლიჯონ სახელმწიფოს. მათ წინააღმდეგ ჩვენ დაუნდობლად ვიბრძოლებთ, მთელი სიმკაცრით გამოვიყენებთ საბჭოთა კანონმდებლობას.

მიუხედავად სერიოზული აღმზრდელობითი და ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარებისა, საქვაბე საამქროს ზეინკალმა პ. ტონკონოგოვმა 27 ივნისს სამუშაო გააცდინა, 28 ივნისს მან 15 წუთი დაიგვიანა და მოიმიზეზა: ავად ვიყავი და იმიტომ ვერ გამოვცხადდი სამუშაოზეო. სინამდვილეში გამოირკვა, რომ იგი ავად არ იყო, სიმულაციას ეწეოდა. ამიტომ ჩვენ მისი საქმე, სავსებით სამართლიანად, სახალხო სასამართლოს გადავეცით. ასევე მოვიქეცით შრომის მეორე დეზორგანიზატორის ი. ბორაჟევსკის მიმართ. მან 27 ივნისს სამუშაო გააცდინა. კითხვაზე, თუ რატომ მოიქცა ასე, უპასუხა: რას გადამეკიდეთ, არ მინდა მუშაობა, რაც გინდათ ის ჰქენითო. ჩვენ ბორაჟევსკი იმ დღესვე სასამართლოს გადავეცით. ვფიქრობთ ამ დეზორგანიზატორების საჩვენებელი გასამართლება ქარხანაში მოვაწყოთ.

ბრძანებულების ძალაში შესვლის მეორე დღეს — 28 ივნისს სამუშაოზე თითო საათით დაიგვიანეს აგრეთვე ვ. მაისურაძემ, ი. ნეკერაშვილმა, შ. კარიჭაშვილმა, ვ. ჯანეზაშვილმა, ზ. ირემაშვილმა და სხვ. ჩვენ მათ სათანადო პასუხი მოვთხოვეთ.

ჩვენი ქარხნის კოლექტივმა კარგად იცის, რომ ტრანსპორტი წითელი არმიის ღვიძლი ძმაა, ამიტომ კიდევ მეტი შეუპოვრობით ვიბრძოლებთ სოციალიზმის შესაფერი შრომის ნაყოფიერებისათვის, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და სამხედრო ძლიერების კიდევ უფრო განმტკიცებისათვის.

გ. სარიშვილი.

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონსარემონტო ქარხნის ტექნიკური დირექტორი.

გ. ყაზაზიშვილი.

ქარხკომის თავმჯდომარე.

გეგმის გადამეტებით ვიძლევით 10.000 ტონა ნავთის გამჭვირვალე პროდუქტებს

ბათუმი, 28 ივნისი (საქდესი). 27 ივნისს ბათუმის სტალინის სახელობის ნავთსახდელი ქარხნის მუშებმა, მუშა-ქალებმა, მოსამსახურეებმა, და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა სახელდახელო მიტინგზე განიხილეს და ერთსულოვნად მოიწონეს სსრკ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულება რვასაათიან სამუშაო დღეზე და შვიდდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლის შესახებ და საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან მუშათა და მოსამსახურეთა თვითნებურად წასვლის აკრძალვის შესახებ. მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ: ბათუმის ქალაქის საბჭოს დეპუტატი, სტახანოველი ზეინკალი ივ. სკროპკა-სკრიპკინი, მეხუთე საამქროს მექანიკოსი გოზალოვი და მშენებლობის უფროსის მოადგილე კარელინი.

— ყოველმა ჩვენთაგანმა, — განაცხადეს მათ, — პირნათლად უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობა სოციალისტური სამშობლოს წინაშე. საჭიროა სრული დატვირთვით ვიმუშაოთ რვა საათის განმავლობაში, აღმოვფხვრათ წარმოებიდან თვითნებურად წასვლა, უმიზეზოდ სამუშაოს გამცდენები და მით განვამტკიცოთ ჩვენი ქვეყნის სამხედრო ძლიერება.

მიტინგმა მიიღო სსრკ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულების ერთსულოვანი მოწონების რეზოლუცია. ამასთანავე ქარხნის კოლექტივმა იკისრა წლიური დავალების ვადამდე შესრულება და გეგმის გადამეტებით 10 ათასი ტონა ნავთის გამჭვირვალე პროდუქციის გამოშვება.

ღირსეულად ასრულებენ აღებულ ვალდებულებებს

კამოს სახელობის დაზგათმშენებლობის ქარხანაში შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, 8 საათის სამუშაო დღისა და 7-დღიან კვირაში გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლას სათავეში ჩაუდგნენ კომუნისტები.

საკ. კ. პ. (ბ) წევრმა, კიროვის რაიონულ საბჭოს დეპუტატმა, ხარატმა მიხეილ ტიმოშჩუკმა 27 ივნისს გაჩარხა 20 შპინდელი (დაზგის დეტალი), მაშინ როცა სამუშაო დღის გადიდებამდე იგი 16 შპინდელს ჩარხავდა. 28 ივნისს მან მოახარატა დაზგისათვის განკუთვნილი „ტვ-20" ტიპის 11 კბილანა, წინათ კი ახარატებდა 9 კბილანას. პარტიის წევრობის კანდიდატმა, ხარატმა ამხ. გიორგი კობახიძემ 28 ივნისს 2 კიბური ლილვის ნაცვლად, მოახარატა 3 ლილვი.

დიდ საწარმოო წარმატებებს მიაღწიეს კომუნისტებმა — მჭედლებმა ალექსანდრე გეგეჭკორმა და არმენ მელიკოვმა. ამხ. მელიკოვმა 28 ივნისს 8 საათის განმავლობაში გამოსჭედა 80 კბილანა და გეგმა შეასრულა 187 პროცენტით. ამავე დღეს ამხ. გეგეჭკორმა დაამზადა 15 კბილანა და 40 მილისა, ამრიგად, დღიური დავალება შეასრულა 113 პროცენტის გადაჭარბებით.

ქარხნის კოლექტივმა გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადა სამუშაოს გამცდენებს, წარმოების დეზორგანიზატორებს. ქარხნის მუშა კ. პოზდნიაკოვი 27 ივნისს სამუშაოზე არ გამოცხადდა, ხოლო 28 ივნისს დაიგვიანა. პოზდნიაკოვის შეუწყნარებელმა მოქმედებამ საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. წარმოების დეზორგანიზატორს, გამცდენს პოზდნიაკოვს სამართალში აძლევენ. (საქდესი).

ახალი შრომითი ენთუზიაზმი, მძლავრი საწარმოო აღმავლობა

8 საათიან სამუშაო დღის შემოღების, შვიდდღიან კვირაზე გადასვლისა და შრომის დეზორგანიზატორთა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა გატარებას თბილისის № 6 სამკერვალო ფაბრიკის მუშებმა, მუშა-ქალებმა, მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა შრომითი ენტუზიაზმითა და ახალი, მძლავრი საწარმოო აღმავლობით უპასუხეს. 27 ივნისამდე 7-საათიანი სამუშაო დღის განმავლობაში ფაბრიკის მუშათა კოლექტივი დღიურ დავალებას 150 პროცენტით ასრულებდა, ხოლო 8 საათის სამუშაო დღეზე გადასვლის პირველსავე დღეს—27 ივნისს ფაბრიკის დღიური დავალება 223,3 პროცენტით იქნა შესრულებული.

8 საათიან სამუშაო დღეზე და შვიდდღიან კვირაზე გადასვლით ორ ცვლად მომუშავე № 6 სამკერვალო ფაბრიკა, 1940 წლის მეორე ნახევარში, ჩვენს ქვეყანას დამატებით 146 ათასი მანეთის მზა ნაწარმს მისცემს. (საქდესი).

სსრ კავშირის პროკურატურაში

თანახმად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულებისა „რვა საათის სამუშაო დღეზე და შვიდდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლის შესახებ და საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან მუშათა და მოსამსახურეთა თვითნებურად წასვლის აკრძალვის შესახებ", პროკურატურის ორგანოებმა სსრ კავშირის პროკურორის ამხ. მ. ი. პანკრატიევის განკარგულებით მთელი რიგი სისხლის სამართლის საქმეები აღძრეს ფრენიებისა და სამუშაოს გამცდენთა წინააღმდეგ.

მაგალითად, მოსკოვში აღძრულია სისხლის სამართლის ძიება ფაბრიკა „ბურევესტნიკის" მუშების ნ. ნ. ეროხინის, ა. მ. ბარანოვის, ტ. გ. ლატიშევასა და ტ. დ. იპოლიტოვას წინააღმდეგ, რომელთაც თვითნებურად დასტოვეს წარმოება.

საწარმოდან თვითნებურად წასვლისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული სამუშაოს ბოროტი გამცდენი სემაშკოს სახელობის საპროტეზო ქარხნის მუშა ფ. დ. სინიცინი.

მოსკოვის ოლქის მიტიშჩის რაიონში პროკურატურამ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა მიტიშჩის ვაგონ-სამშენებლო ქარხნის მუშა მ. ა. კორშუნოვი საწარმოდან თვითნებურად წასვლისათვის, და ბოლშევოს სასპორტო კომბინატის ხის დამმუშავებელი ფაბრიკის მუშა ა. გ. კორსაკოვა ა. წ. 27 ივნისს სამუშაოს გაცდენისათვის.

მოსკოვის ოლქის ნოგინსკის რაიონში ა. წ. 28 ივნისს საწარმოდან თვითნებურად წასვლისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს ნოვო-ნოგინსკის ფაბრიკის მონგარიშე მ. მ. კაპუსტინი და იმავე ფაბრიკის მუშა მ. ა. ოზეროვა. ისტომკინის ფაბრიკის მქსოველი მ. ა. ჟიდკოვა მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში სამუშაოს გაცდენისათვის.

ქალ. ლენინგრადში სამუშაოს გაცდენისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულნი არიან ზღვისპირა რაიონის სარემონტო-სამშენებლო კანტორის დურგალი ი. ს. კობილკინი, ქარხანა „მოლოდოი უდარნიკის" ზეინკალი პ. ვ. ივანოვი და ფაბრიკა „სლიუდის" მუშა ა. გ. სავუშკინა.

ქალაქ ტულაში სამუშაოს გაცდენისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულია ტულის საოლქო სამომხმარებლო კავშირის ავტოსარემონტო კანტორის მტვირთავი ნ. მ. რატაევი.

ქალ. კალუგაში ასანთის ფაბრიკის „გიგანტის" აპარატის მომუშავე ა. ა. სტეპანოვა ა. წ. 27 ივნისს თვითნებურად წავიდა საწარმოდან. სტეპანოვა მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

კალუგის ფაბრიკის „მეტშირპრომის" ზეინკალი ი. ნ. ულიანოვი მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში სამუშაოს გაცდენისათვის.

გორი-სტალინირის რკინიგზის მშენებლობაზე

(გორი, „კომუნისტის" კორესპ.)

გორი - სტალინირის რკინიგზის მშენებლები უსაზღვროდ აღაფრთოვანა 8-საათიანი სამუშაო დღისა და 7-დღიანი სამუშაო კვირის შემოღების შესახებ კანონის გამოსვლამ.

გაძლიერდა ლიანდაგის დაგების ტემპები. 27 და 28 ივნისს ლიანდაგი დაგებულ იქნა 2.050 მეტრზე, ნაცვლად 1.400 მეტრისა, რაც ნორმით იყო დაწესებული.

განსაკუთრებული წარმატებით იმუშავეს გზის ოსტატმა გ. არჩაიამ და ჩოჩიას კოლონამ.

მთელ ტრასაზე ლიანდაგის დაგება 30 ივნისს დამთავრდება. მდ. მტკვარზე ხიდის მშენებლობის დამთავრება ნავარაუდევია 10 ივლისისათვის.

მეფანერების ახლებურად მუშაობის მეორე დღე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულების განხორციელებასთან დაკავშირებით, თბილისის საფანერო ქარხნის კოლექტივი წლის დამლევამდე ჩვენს ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცემს ძვირფასი ჯიშების — წიფლის, თელის, ნეკერჩხლის, ბოყვისა და კაკლის ხის 296 ათას კვადრატულ მეტრ ფანერს.

ნატიფი ავეჯის საამქრო წლის განმავლობაში დამატებით გამოუშვებს 84 ათასი მანეთის მხატვრულად ნაკეთებ ავეჯს — შიფონერებს, ბუფეტებს, წიგნის კარადებსა და საწერ მაგიდებს. იმისათვის, რომ პროდუქციის დამატებითი გამომუშავება უზრუნველყოფილ იქნას ნედლეულით, ქარხანა გააფართოვებს ძვირფასი მერქნის დამზადებას კახეთის რაიონებში.

ქარხნის სამმართველომ დაამთავრა ნორმებისა და შეფასებათა გადასინჯვა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილების თანახმად. გამომუშავების ნორმების გადიდების შემდეგ სამი საფანერო დაზგის თვიური ნაყოფიერება 18,8 პროცენტით დიდდება.

ახალი გრაფიკით მუშაობის მეორე დღეს ქარხანამ დღიური პროგრამის გადამეტებით გამოუშვა 1.900 კვადრატული მეტრი მაღალხარისხოვანი ფანერი. ქარხნის მოწინავე სტახანოველებმა იონა გირდელაძემ, გიორგი მარტიროსოვმა და ანდრია მოსესოვმა 28 ივნისს ახალი ნორმები 10-12 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულეს. (საქდესი).

რიონჰესის მორიგი წარმატება

(ქუთაისი, „კომუნისტის" კორ.)

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს მომართვითა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულებით აღფრთოვანებულმა სტალინის სახელობის რიონჰესის კოლექტივმა ვადაზე 3 დღით ადრე 100,5 პროცენტით შეასრულა 1940 წლის 6 თვის დავალება.

ნაცვლად 7 მილიონ 865 ათასი მანეთის ელექტროენერგიისა, სადგურმა ქვეყანას მისცა 7 მილიონ 911 ათას 540 მანეთის ენერგია.

რიონჰესის მუშაკთა კოლექტივი კვლავ ბეჯითად განაგრძობს ბრძოლას პირველობისათვის ჩვენი ქვეყნის ელექტროსადგურებს შორის.

გეგმა ვადამდე შესრულდა

ზუგდიდი, 29 ივნისი (ტელეგრაფით). ზუგდიდის რაიონმა ჩაის კრეფის ივნისის გეგმა 29 ივნისს 125,5 პროცენტით შეასრულა. მოკრეფილია 1.137.676 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 906.000 კილოგრამისა. მაის-ივნისში მოკრეფილია 2.326.614 კილოგრამი ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.303.200-სა. გეგმა შესრულებულია 101 პროცენტით. აღებულია ვალდებულება ივნისში გეგმის გადამეტებით მოიკრიფოს კიდევ 50.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

საქ. კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის მდივანი **გ. ჩაჩიბაია**

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **გ. საჯაია.**

ომი დასავლეთ ევროპაში

გერმანიის ცნობა საომარი მოქმედების შესახებ

ბერლინი, 28 ივნისი (საკდესი). უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკი იუწყება: „როგორც დროებითი ზავის ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, გერმანიის ჯარმა, რომელიც საფრანგეთის სანაპიროზე მოქმედებს, გუშინ საღამოს მიაღწია ესპანეთის საზღვარს ბაიონის სამხრეთით. ამგვარად, გერმანიის ჯარს საფრანგეთში უჭირავს ლა-მანშის და ატლანტის ოკეანის მთელი სანაპირო.

ჩაძირულია მტრის სავაჭრო ფლოტის რამდენიმე ერთეული, რომელთა საერთო ტონაჟი 40.100 ტონას უდრის.

27 ივნისს ღამით გერმანიის საჰაერო ძალები წარმატებით დაესხნენ თავს ცენტრალური ინგლისის სამხედრო ქარხნებსა და ნავსადგურებს. სამხრეთ ინგლისში ბევრ ადგილას დიდი ხანძარი გაჩნდა.

27 ივნისს ინგლისის თვითმფრინავები ბელგიისა და ჰოლანდიის სანაპიროზე დაფრინავდნენ. გერმანიის ავიაგამანადგურებლებმა იერიში მიიტანეს მტრის 6 თვითმფრინავზე და აიძულეს [illegible] დაბრუნებულიყვნენ. სხვა თვითმფრინავებმა, რომლებიც ღრუბლებს ამოეფარნენ, შესძლეს ჰანოვერში მისვლა და იქ ყუმბარების გადაყრა. მოკლულია რამდენიმე კაცი, დაინგრა რამდენიმე სახლი.

27 ივნისს, ღამით, ინგლისის თვითმფრინავები დაფრინავდნენ დასავლეთ და ჩრდილოეთ გერმანიაში. ზოგან სახლებს ყუმბარა დაუშინეს. არიან დაჭრილნი და მოკლულნი. ჩვენმა ავიაგამანადგურებლებმა ღამის ბრძოლის დროს ჩამოაგდეს მტრის 3 თვითმფრინავი. მტერი შეეცადა შეჭრილიყო სტავანგერის რაიონის აეროდრომზე, რის დროსაც ზღვაში ჩამოგდებულ იქნა ინგლისის ერთი თვითმფრინავი. სამხედრო-საზღვაო ფლოტის საზენიტო არტილერიამ ჩამოაგდო მოწინააღმდეგის 2 თვითმფრინავი. სულ 27 ივნისის განმავლობაში მოწინააღმდეგემ 16 თვითმფრინავი დაჰკარგა. გერმანიის ერთი თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა".

გერმანიის ავიაციის თავდასხმა ინგლისზე

ლონდონი, 28 ივნისი (საკდესი). ავიაციის სამინისტრო და შინაგან საქმეთა სამინისტრო უწყებიან, რომ 27 ივნისს ღამით გერმანიის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს ინგლისის რამდენიმე რაიონს. მიღებული ცნობების თანახმად, ყუმბარების დაშენას დიდი მატერიალური ზარალი არ მოჰყოლია. მსხვერპლთა რიცხვი უმნიშვნელოა.

ომი ზღვაზე

ლონდონი, 28 ივნისი (საკდესი). საზღვაო სამინისტრო იუწყება, რომ ნორვეგიის სამხრეთ სანაპიროსთან ინგლისის ერთერთმა წყალქვეშა ნავმა ჩასძირა მტრის ტრანსპორტი დაახლოებით 8.000 ტონა წყალწყვისა.

საომარი მოქმედება ხმელთაშუა ზღვაზე და აფრიკაში

იტალიის ცნობები

რომი, 28 ივნისი (საკდესი). იტალიის არმიის უმაღლესი სარდლობა იუწყება: „ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ აფრიკაში გრძელდება ავიაციის ინტენსიური მოქმედება. კირენაიკის საზღვარზე ჩვენმა ავიაციამ წარმატებით დაუშინა ყუმბარები მოწინააღმდეგის ზურგს და ინგლისის მოტორიზებულ ნაწილებს, რომლებსაც ზარალი მიაყენა. საჰაერო ბრძოლის დროს ინგლისის ერთი თვითმფრინავი იძულებული გახდა ასმარის მახლობლად დაშვებულიყო. ეკიპაჟი ტყვედ წამოვიყვანეთ. ჩამოგდებულია ერთი თვითმფრინავი; ორი სხვა თვითმფრინავი სერიოზულად დაზიანდა".

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 28 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს გადმოცემით, გუშინ დილით მტრის ავიაცია თავს დაესხა მალტას; უკანასკნელი დღე-ღამის განმავლობაში ეს უკვე მე-7 თავდასხმაა.

მალტის ძლიერი ბომბარდირების დროს 26 ივნისს საღამოს მოკლულია 23 კაცი და დაიჭრა რამდენიმე კაცი. დაზიანდა რამდენიმე კერძო სახლი.

მტრის ყუმბარმშენები ინგლისის ავიაგამანადგურებლებმა და საზენიტო არტილერიამ გარეკეს.

26 ივნისს მტრის 3 თვითმფრინავმა უშედეგოდ დაუშინა ყუმბარები მოიალს (კენიისა და აბისინიის საზღვარზე).

გუშინ მტრის ორმა თვითმფრინავმა უშედეგოდ დაუშინა ყუმბარები ვაჯირს (კენია).

ინგლისის ავიაციამ ყუმბარები დაუშინა იტალიის ნავსადგურებს გურაში (აბისინია) და მაკაკაში (ერიტრეა).

ინგლის-საფრანგეთის ურთიერთობა

საფრანგეთის მთავრობის პასუხი ჩერჩილის განცხადებაზე

მარსელი, 28 ივნისი (საკდესი). ჰავასის სააგენტოს მიერ დაგვიანებით გადმოცემულ ცნობაში ნათქვამია: საფრანგეთის მთავრობამ „რადიოთი გააცნო მოსახლეობას ჩერჩილის 22 ივნისის განცხადება და აუწყა, რომ მან გადაჭრითი პროტესტი განაცხადა იმ მტკიცებების წინააღმდეგ, რომლებსაც ეს განცხადება შეიცავს. ეს მტკიცება მით უფრო შეუწყნარებელია რომ ინგლისის მთავრობა ყოველ საათს თვალყურს ადევნებდა საომარი მოქმედების განვითარებას და იცნობდა ყველა იმ ამბების ვითარებას, რომლებმაც საფრანგეთის მთავრობა აიძულა ცდილიყო ომის შეწყვეტას. ჩერჩილის მიერ გაკეთებული განცხადებები ეწინააღმდეგება საფრანგეთის მთავრობის იმ სურვილებს, რომ მეტად მძიმე განსაცდელს არ დაემატოს ინგლისსა და საფრანგეთს შორის უთანხმოება.

საფრანგეთის მთავრობა უარჰყოფს, თითქოს რაიმე აზრთა სხვადასხვაობა არსებობდეს საფრანგეთის მთავრობასა და მისი ქვეყნის საზოგადოებრიობას შორის. საფრანგეთის მთავრობა არ დააყოვნებს გააბათილოს ჩერჩილის მტკიცების ზოგიერთი პუნქტი და ახლაც უკუაგდებს ინგლისის პრემიერ-მინისტრის ტენდენციურ განცხადებას. როდესაც ინგლისის საზოგადოებრიობა ინფორმირებული იქნება, იგი მიხვდება, რომ საფრანგეთის მთავრობას არ შეეძლო სხვა გზას დასდგომოდა გარდა იმ გზისა, რომელიც მან აირჩია".

ინგლისის მთავრობამ სცნო გენერალი დე გოლი

ლონდონი, 28 ივნისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ლონდონში ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ „ინგლისის მთავრობამ გენერალი დე გოლი სცნო ყველა თავისუფალი ფრანგის ლიდერად; ყველა ფრანგი, სადაც უნდა იმყოფებოდნენ ისინი, გაერთიანდებიან დე გოლის გარშემო, რათა დახმარება გაუწიონ მოკავშირეთა საქმეს".

დე გოლის გამოსვლა

ლონდონი, 28 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, გუშინ დე გოლმა კვლავ წარმოსთქვა სიტყვა რადიოთი, სადაც მოუწოდა საფრანგეთის კოლონიურ სამფლობელოებში მყოფ ჯარს „განაგრძოს ბრძოლა გერმანიისა და იტალიის წინააღმდეგ".

საფრანგეთის ხელისუფალთა პოზიცია ჯიბუტში

ლონდონი, 28 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება: „სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობებით, ჯიბუტის ხელისუფალნი ბრძოლის განგრძობას აპირებენ. ჯიბუტის გუბერნატორის დეშამპის პოზიციას გადაჭრით მხარს უჭერს ჯიბუტში საფრანგეთის ძალების სარდალი გენერალი ჟენტილომი".

საფრანგეთის გემები დუნაიზე ინგლისს გადაეცა

საფრანგეთის საკონსულომ სტამბოლში ინგლისის ელჩს განუცხადა, რომ საფრანგეთის გემები, რომელნიც დუნაიზე მიმოდიოდნენ და თურქეთში ჩავიდნენ, გადაეცა ინგლისის მთავრობას. სულ გადაცემულია 20 გემი—შალანდები, ბუქსირები და ნავთსასხმელი კარჭაპები.

უკანასკნელი ცნობები

ინგლისის თვითმფრინავთა თავდასხმა ჩრდილოეთ-დასავლეთ გერმანიაზე

ბერლინი, 29 ივნისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ 27 ივნისს ღამით უცხოელთა თვითმფრინავები კვლავ შემოიჭრნენ გერმანიის ჩრდილო დასავლეთ ნაწილში. ერთერთი თვითმფრინავი იძულებით დაეშვა შლეზვიგ-ჰოლშტაინში. ეკიპაჟის ორი წევრი მოკლულია, ორი სხვა წევრი წამოყვანილია ტყვედ. ინგლისის მეორე ყუმბარმშენი ჩამოგდებულია ჰანოვერის პროვინციაში. ეკიპაჟის სამი წევრი მოკლულია.

საფრანგეთის ფლოტის ბედი

ნიუ-იორკი, 29 ივნისი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, კასაბლანკაში (საფრანგეთის მაროკო) არის საფრანგეთის 6 კრეისერი, 20 შეიარაღებული ტრაულერი და ტრალერი, 60 ნავთსასხმელი გემი და ტრანსპორტი, აგრეთვე სხვა გემები, მათ შორის 21 წყალქვეშა ნავი და საფრანგეთის სახაზო გემი „ჟან ბარი", რომელიც ახლა შენდება და რომელიც ბრესტიდან ბუქსირით მიიყვანეს.

იმავდროულად იუწყებიან, რომ საფრანგეთის ყოფილ პრემიერს დალადიეს და სხვა ყოფილ მინისტრებს, რომელნიც კასაბლანკაში გემ „მასილიით" ჩავიდნენ, სენეგალელი მსროლელნი იცავენ.

გერმანიის საინფორმაციო ბიურო გენერალ ნოგესის ბრძანების შესახებ

ბერლინი, 29 ივნისი (საკდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, კარგად ინფორმირებულ იტალიურ წრეებში დასტურდება ცნობა იმის შესახებ, რომ საფრანგეთის ჯარის სარდალმა ჩრდილოეთ აფრიკაში გენერალმა ნოგესმა ვეიგანის ბრძანების შესასრულებლად თავის ჯარებს მაროკოში, ტუნისსა და ალჟირში იარაღის დაყრა უბრძანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობები (მარცხნიდან)—ზევით: **ი. ზარდალიშვილი** (საქართველოს სსრ სახალხო არტისტი), **თ. ვახვახიშვილი** (კომპოზიტორი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე), **გ. სულიაშვილი** (რეჟისორი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე); ქვევით: **ე. ამირაჯიბი** (საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი), **თ. ღვინიაშვილი**, **ს. ოყრეშიძე** (რეჟისორი).

◆

ლადო მესხიშვილი ქუთაისის თეატრში

ლადო მესხიშვილის ჩასვლით იწყება ქუთაისის თეატრის ოქროს ხანა, რომელიც მთელი ქართული თეატრის ოქროს ხანად უნდა იქნას მიჩნეული. ამ პერიოდში გაიფურჩქნა საბოლოოდ ლადო მესხიშვილის ტალანტი.

მესხიშვილის თეატრი, უდავოდ რომანტიკულ ელფერს ატარებდა. მან თეატრი ნამდვილ ტრიბუნად აქცია, სადაც ბრძოლის ისეთ ცეცხლს აჩაღებდა, მძლავრ პათოსს ანთებდა, მონობის, ჩაგვრის, რელიგიის წინააღმდეგ ისეთ ზიზღს აღვივებდა, რომელიც თავისი ცხოველმყოფელობით მიუღწეველი იყო მთელი ქართული თეატრისათვის. მესხიშვილის დადგმები ისეთი მძლავრი ემოციურობით ხასიათდებოდა, რომ აღფრთოვანებული და ბრძოლის ცეცხლით ანთებული მაყურებლები სპექტაკლის დამთავრების შემდეგ დიდხანს არ იშლებოდნენ და საყვარელ ხელოვანს ხელით აიტაცებდნენ ხოლმე.

ეს დიდი შემოქმედებითი გამარჯვებანი და მაყურებელთა მხურვალე სიყვარული მესხიშვილმა იოლად მოიპოვა. ლადო მესხიშვილი ჭეშმარიტად დიდი ნოვატორი იყო. მან დაჰგმო და უკუაგდო დახავსებული სცენიური ხერხები. მართალია, მასზე ადრე ამ ფორმათა წინააღმდეგ იერიში კოტე მესხმა მიიტანა, მაგრამ ამ იერიშმა მხოლოდ შეარყია მათი ტრადიციული ბატონობა. ლადომ კი მტვრად აქცია ისინი.

ამ ბრძოლაში ლადოს არ შეეძლო მარტო ყოფილიყო. მან თავის ირგვლივ შემოიკრიბა მთელი რიგი ახალგაზრდა მსახიობები, რომლებიც თვით, მან აღმოაჩინა და მამობრივი ზრუნვით აღზარდა. ნინო ჩხეიძე, ვალ. შალიკაშვილი, ი. ზარდალიშვილი, ალ. იმედაშვილი, მიხ. ქორელი, ალ. წუწუნავა, ნ. დავითაშვილი ლადოს ღირსეული მოწაფეები არიან. მათ წმინდად შეინახეს მესხიშვილის თეატრალური ტრადიციები და შექმნეს მთელი რიგი მაღალმხატვრული სცენიური სახეები.

ლადო მესხიშვილის მოღვაწეობა ქუთაისში იმითაც არის შესანიშნავი, რომ იგი უაღრესად დიდი მოქალაქე იყო, გაბედული მებრძოლი, რომელსაც ყველგან — სცენაზე თუ ცხოვრებაში — სძაგდა მეფის თვითმპყრობელობა და მისი მოხელეები. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დაუზოგავათ ებრძოდა მათ ლადო მესხიშვილი, რისთვისაც არაერთხელ განუცდია დევნა-შევიწროება. 1905 წლის რევოლუციის დღეებში ლადო სცენიდან აფრქვევდა ცეცხლოვან სიტყვებს, მოუწოდებდა ხალხს რევოლუციური იერიშებისათვის მჩაგვრელთა წინააღმდეგ.

ლადო იყო ნამდვილი ხალხური შემოქმედი, რომელიც მთელ თავის ნიჭს, ცოდნას, უნარსა და სიცოცხლეს ხალხის საქმეს ახმარდა.

გარემოებამ იძულებული გახადა მესხიშვილი 1906 წ. დაეტოვებინა საყვარელი ქუთაისი, სადაც გაიფურჩქნა და დავაჟკაცდა მისი მხატვრული ნიჭი.

შ. ქურიძე.

კ. მარჯანიშვილი და ქუთაისის თეატრი

დ. ანთაძე

კოტე მარჯანიშვილის სახელთან მტკიცედ არის დაკავშირებული ქართული თეატრის აღორძინების ხანა.

1922 წლის 25 ნოემბერი — „ცხვრის წყაროს" დადგმის დღე — საბჭოთა განახლებული თეატრის დასაწყისია.

რა მდგომარეობაში იყო ჩვენი სცენა კოტეს მოსვლამდე? სცენის დიდი ოსტატები — ვ. აბაშიძე, მ. საფაროვი — აბაშიძისა, ლ. მესხიშვილი, რომლებმაც თავის დროზე შექმნეს კლასიკური ეპოქა ჩვენი თეატრის განვითარებაში, უკვე აღარ გვყავდნენ, ან მოხუცებულობის გამო ჩამოშორდნენ სცენას. მათი ნიჭიერი მოწაფეები დაქსაქსული იყვნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. ახალგაზრდობა კი მოკლებული იყო ჭეშმარიტ მხატვრულ ხელმძღვანელობას. ამას დაემატა ის, რომ მენშევიკების უნიათო მთავრობა თავისი მავნე და უხეირო „ხელმძღვანელობით" ქართული თეატრი სრულ დეზორგანიზაციამდე მიიყვანა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ თვეებშივე სახელმოხვეჭილი ოსტატი კოტე მარჯანიშვილი შეუდგა ქართული თეატრის განახლებას. მისი ხელმძღვანელობით უკანასკნელმა მალე მტკიცე ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის საუკეთესო თეატრებს შორის.

კ. მარჯანიშვილმა მოიტანა სპექტაკლის დიდი კულტურა, მისი გახსნის ახალი მეთოდი, სპექტაკლის გაგება, როგორც ორგანიული მთლიანობისა, სადაც ძირითადი სოციალური იდეის, დედაძარღვის ირგვლივ მწყობრად შემოკრებილია თეატრის ყველა ელემენტი. მან აღიარა ცენტრალური როლი მსახიობისა თეატრში და შექმნა სრულიად ახალი ხერხები როლის გაგებისა და დამუშავებისა. მან მიუჩინა თავისი ადგილი თეატრალური შემოქმედების ყველა კომპონენტს.

1928 წელს ქუთაისში ჩამოყალიბდა ახალი თეატრი კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით. ეს იყო მეორე პერიოდი მარჯანიშვილის შემოქმედებისა, კიდევ უფრო ბრწყინვალე, ვიდრე პირველი.

ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექტორი და სამხატვრო ნაწილის ხელმძღვანელი საქართველოს სსრ სახალხო არტისტი **დ. კ. ანთაძე.**

მის დადგმებში ელვარებს სილამაზის, სიხარულისა და საზეიმო განწყობილების პათოსი. სწორედ ამ პერიოდში შესძლო კოტემ განეხორციელებინა თავისი დიდიხნის მხატვრული ოცნება, ღრმა რეალიზმი განემსჭვალა ჭეშმარიტი პათოსით, მიეღო იდეურობისა და თეატრალობის ჰარმონია სცენაზე. იმ პერიოდის სპექტაკლები დაუსრულებელი ტრიუმფია თეატრისა ჯერ ქუთაისში, შემდეგ თბილისში, ხარკოვსა და მოსკოვში.

კ. მარჯანიშვილის ასეთი გამარჯვების ერთერთი მნიშვნელოვანი მიზეზი ისიც იყო, რომ მან თეატრის გარშემო შემოიკრიბა ქართული დრამატურგიის საუკეთესო ძალები — შალვა დადიანი, პოლ. კაკაბაძე, კ. კალაძე და სხვ., ამ დროს მუშაობდნენ კოტეს ხელმძღვანელობით მსახიობები — უ. ჩხეიძე, შ. ღამბაშიძე, ა. გომელაური, ვ. ანჯაფარიძე, ალ. იმედაშვილი, იუზა ზარდალიშვილი, თ. ჭავჭავაძე, ც. წუწუნავა, ა. მურუსიძე, ვ. ჩხიკვაძე, შ. ხონელი, კ. კვანტალიანი. შემდეგ ვ. გოძიაშვილი, მ. ლორთქიფანიძე, ც. თაყაიშვილი, პ. კობახიძე და სხვ. მხატვრები — დ. კაკაბაძე, შარლემანი, ე. ახვლედიანი, კომპოზიტორები — თ. ვახვახიშვილი, ქ. მეღვინეთ-უხუცესი.

მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ კ. მარჯანიშვილის წინაშე განსაკუთრებული სიმძაფრით წამოიჭრა სარეპერტუარო პრობლემა. ამ დროის ერთერთ გამოუქვეყნებელ დოკუმენტში. კ. მარჯანიშვილი სწერს: „მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს რეპერტუარში სამი ქართველი ავტორი იყო, მე მაინც მისაყვედურეს მშობლიური დრამატურგების შედარებითი სიმცირე. ამიტომ შემდეგი სეზონის სარეპერტუარო ხაზი ძირითადად ქართულ დრამატურგებს უნდა დაეყრდნოს". ამით კოტემ თავის მოვალეობად მიიჩნია აღეზარდა თეატრთან, წაეხალისებინა და მიეცა სამუშაო ახალგაზრდა, დამწყები დრამატურგებისათვის. ამ მუშაობამ დიდი ნაყოფი გამოიღო.

ქუთაისის პერიოდი კ. მარჯანიშვილის მოღვაწეობისა მნიშვნელოვანი ხანაა, არა მარტო ქუთაისის თეატრის, არამედ ქართული თეატრის ისტორიისათვის.

კ. მარჯანიშვილმა განავითარა ლადო მესხიშვილის მიერ დაფუძნებული მდიდარი ტრადიცია აქტიორული ოსტატობისა და შეაერთა იგი შესანიშნავ რეჟისორულ ოსტატობასთან. ამ ორმა დიდმა მოღვაწემ აიყვანა ჩვენი თეატრის მხატვრული დონე დიდ სიმაღლეზე და დააყენა ქართული თეატრი მოწინავე საბჭოთა თეატრების გვერდით.


ქუთაისის თეატრის 1902—03 წლის სეზონის დასი. პირველ რიგში სხედან (მარცხნიდან)—**მიხ. მარჯანიშვილი, ტასო აბაშიძე, მარო მდივანი, მიხ. ქორელი**; მეორე რიგში—**ნატ. ჯავახიშვილი, ლადო ალექსი-მესხიშვილი, ეფ. მესხი, კოტე მესხი, ნინო ჩხეიძე**; დგანან: **მიხ. ფრანგულიანი, ვალ. შალიკაშვილი, მიხ. ნემო, კაპ. კახიანი, ბარ. თათეიშვილი, ალ. იმედაშვილი, ი. ზარდალიშვილი, ლ. მირიანაშვილი, ვლ. იმერიძე.**

ვასო აბაშიძე ავეტიკას როლში („რაც გინახავს ველარ ნახავ").

საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ა. იმედაშვილი ოტელოს როლში

◆

ხალხის საყვარელი თეატრი

60 წელიწადი დიდი მანძილია. იშვიათია ისეთი ქართველი მსახიობი, რომელსაც ქუთაისის სცენაზე არ ემუშაოს, ერთი სეზონი მაინც არ ჩაეტარებინოს, ხოლო ქართული სცენის სახელგანთქმულნი ქურუმნი — ლადო მესხიშვილი, ვასო აბაშიძე, მაკო საფაროვა-აბაშიძისა, ვალ. გუნია, ეფ. მესხი, კ. მესხი, ნინო ჩხეიძე, გ. იმხნელი, ვალ. შალიკაშვილი და სხვ. ხანგრძლივად მუშაობდნენ ქუთაისში.

ქუთაისის თეატრსა და მაყურებელს შორის მჭიდრო კავშირი იყო. ხალხს უყვარდა თავისი თეატრი, ხალხი სწავლობდა ამ თეატრში, ხალხი ზრდიდა ამ თეატრს, ასწორებდა მის შეცდომებს. მოვიგონოთ დამახასიათებელი ფაქტი ქუთაისის თეატრისა და მისი მაყურებლის ურთიერთობიდან.

1901 წელია. ქუთაისის თეატრს გასტროლიორები ეწვიენ. რომელიღაც მოხეტიალე დრამატიული დასი პროვინციებში სდგამდა პოგრომულ, ანტისემიტურ პიესებს. 5 მაისს ქუთაისის თეატრში დასდგეს ანტისემიტური პიესა „შვილი ისრაილისა". დარბაზი სავსე იყო ხალხით. პირველმა მოქმედებამ მშვიდად ჩაიარა. მაგრამ მალე მაყურებელი მიხვდა რაშიც იყო საქმე და აზმაურდა. დაიწყო ობსტრუქცია, სპექტაკლი ჩაიშალა, ხალხი ქუჩაში გავიდა და, პოგრომული განწყობილების მაგიერ, მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაცია გაიმართა.

ეს ფაქტი დამახასიათებელია. ქართული თეატრი მაყურებელს ზრდიდა, ამზადებდა გადამწყვეტი ბრძოლებისათვის. დიდებულმა ხელოვანმა ლადო მესხიშვილმა ქუთაისის თეატრში, თავადაზნაურთა კრებაზე პირში მიახალა გადაგვარებულ არისტოკრატიას:

— „მე აზნაურობას არ ვეკუთვნი, მე ვეკუთვნი მთელ ერს, ფულს როდი ვემსახურები, არამედ სცენას, ჩემს რწმენას და ვერავითარი სასყიდლით ვერავინ ვერ მომიყიდის და ვერ მათქმევინებს იმას, რაც ჩემს რწმენას ეწინააღმდეგება".

ასეთი იყო ქართული თეატრი, ნამდვილად სახალხო თეატრი, დევნილი მეფის მთავრობის მიერ, მაგრამ შენახული და მოვლილი ხალხის სიყვარულით, ზრუნვით, ქართული სცენის ოსტატთა თავდადებით.

მენშევიკების დროს ქუთაისის თეატრი, ისე როგორც საერთოდ ქართული თეატრი, დაკნინდა, მსახიობები იძულებული იყვნენ ლუკმა-პურისთვის მოუმზადებელი სპექტაკლები ეთამაშნათ. მაგრამ ხელთ აიღო ძალაუფლება გამარჯვებულმა მშრომელმა ხალხმა და მალე ქუთაისის თეატრიც აღსდგა. წარუშლელი კვალი დასტოვა ამ თეატრში კოტე მარჯანიშვილის სეზონებმა.

ორი წელია ქუთაისში მუშაობს ახალი დასი, კოტე მარჯანიშვილის მოსწავლის დოდო ანთაძის ხელმძღვანელობით. ორი წლის განმავლობაში ქუთაისის თეატრმა შექმნა ღირსშესანიშნავი სპექტაკლები — „ნაპერწკლიდან", მ. გორკის „მტრები", „გიორგი სააკაძე", „მათი ამბავი", „კოლმეურნის ქორწინება", „პავლე გრეკოვი", „პატარა კახი" და სხვ.

საქართველოს მშრომელები აღნიშნავენ ქუთაისის თეატრის არსებობის 60 წლისთავს. ეს ფაქტი საუკეთესოდ ადასტურებს, თუ რა დიდი დაფასება აქვს ჩვენს ქვეყანაში ხელოვნებას. ქუთაისის თეატრის კოლექტივის სახელისა და დიდების საქმეა ღირსეულად განაგრძოს წინსვლა და მაღალმხატვრული სპექტაკლებით ემსახუროს სოციალიზმის ქვეყნის მოქალაქეთა კომუნისტურად აღზრდის დიად საქმეს.

გრ. ნუცუბიძე.

ი. თავაძე

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი
პროპაგანდის დარგში

ქუთაისის თეატრი

ქუთაისს სახელოვანი ტრადიციები აქვს. საქართველოს ამ მეორე დედაქალაქის ციხე-სიმაგრეებთან ხშირად დამარცხებულა მტერთა ძლიერება და აქედან დაწყებულა სამშობლოს განთავისუფლების გმირული საქმე. ქართველ ხალხს განსაკუთრებით უყვარდა და უყვარს ქუთაისი. ამიტომაც მას ხელოვნების უმშვენიერესი ძეგლებით ამკობდა. ქალაქს დღესაც გადმოსცქერის ქართველი ხალხის დიდი კულტურის, შემოქმედებითი გენიის ცხადმყოფელი ბაგრატის ტაძარი. ქუთაისი, დაწყებული გელათიდან ვიდრე გეგუთამდე, გარშემორტყმულია ხუროთმოძღვრული ხელოვნების ისეთი ძეგლებით, რომელთა სიდიადე და შეუდარებელი მშვენიერება საფუძველს აძლევს ხელოვნების ისტორიკოსებს რენესანსის ისტორია საქართველოდან დაიწყონ. შორეული წარსულიდანვე ქუთაისი წარმოადგენდა ქართველი ხალხის დიდ კულტურულ ცენტრს.

ქუთაისი ცნობილია თავისი რევოლუციური ტრადიციებით. აქ, ისე როგორც საქართველოს და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში, ახალგაზრდა **სტალინი** ზრდიდა და აწრთობდა ბოლშევიკურ ორგანიზაციებს. პირველი რევოლუციის პერიოდში ქუთაისში რაზმავდა და ხელმძღვანელობდა დიდი სტალინი მუშებისა და გლეხების გმირულ ბრძოლას ცარიზმის და ბურჟუაზიის დასამხობად, სოციალიზმის მტრების — მენშევიკებისა და ყველა ჯურის ნაციონალისტ-ანარქისტების გასანადგურებლად. აქ, ამ ბრძოლებში ახალგაზრდა სტალინს გვერდში ედგა მისი უახლოესი თანამებრძოლი საშა წულუკიძე.

გასაგებია, რომ ასეთი რევოლუციური წარსულისა და მაღალი კულტურის მქონე ქალაქი — ქუთაისი ფეხდაფეხ მიჰყვებოდა საქართველოს დედაქალაქ თბილისს. იყო პერიოდები, როდესაც რევოლუციურ მოძრაობასთან მტკიცედ დაკავშირებული ქუთაისის თეატრი და მწერლობა განიცდიდა ისეთ აღმავლობას, რომ ის ხდებოდა ქართველი ხალხის რევოლუციური იდეების და მისწრაფებათა საუკეთესო გამომხატველი.

დღეს ქუთაისის დიდი ტრადიციების მქონე თეატრის არსებობის 60 წლისთავს ვზეიმობთ. ამიტომ მოვალენი ვართ გადავხედოთ მის წარსულს, შევაფასოთ მისი ბედნიერი აწმყო და ბრწყინვალე მომავალი.

1880 წელს განახლებული ქუთაისის ქართული პროფესიული სცენა ქართველი ხალხის დიდი მგოსნის აკაკი წერეთლის სახელთანაა დაკავშირებული. ქუთაისის თეატრი 1860 წლებში შეიქმნა აკაკი წერეთლის და დ. ბაქრაძის მეოხებით და თეატრის აქტიორთა პირველი თაობაც აკაკის დიდი იდეური და მხატვრული ზეგავლენის ატმოსფეროში წამოიზარდა.

1881 წელს გაზ. „დროება" სწერდა: „ქუთაისს ისევ დაუბრუნდა მისი აკაკი. ხანგრძლივი იქნება თუ არა გამოჩენილი პოეტის აქ ყოფნა, — ამაზედ ნამდვილს ვერას მოგახსენებთ, მაგრამ საშვილიშვილო საქმეს — თეატრს რომ სახუმროდ არ მოჰკიდა ხელი და კიდეც მკვიდრ ნიადაგზე დააყენებს მას, ამას ყველა ხედავს და ყველა შეჰხარის". („დროება" № 272).

თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქუთაისის საზოგადოებისათვის თეატრის დაარსებას, ამის შესახებ ნათლად მოგვითხრობს გაზეთ „დროებას" 1880 წ. № 31-ში მოთავსებული ფელეტონი, სადაც ვკითხულობთ:

„ჩვენი საზოგადოება წელს ყოველგვარ სიამოვნებას მოკლებულია. ერთი კლუბი იყო, სადაც ხან კონცერტი იმართებოდა, ხან ცეკვა, ხან მასკარადი — გააქრო უწყალო ცეცხლმა. ცირკის შენობა იყო, იქ სცენასავით რაღაც მოწყობილობა იყო. დაარღვია სახლების შენებაში გაუმაძღარმა ჩარაზოვმა; გუბერნატორის ზალაში სცენა იყო და აიღეს"...

ამ მდგომარეობაში ჩავარდნილი საზოგადოება, რა თქმა უნდა, მოუთმენლად მოელოდა თეატრის აშენებას და დასის დაარსებას.

გაზ. „დროების" იმავე ფელეტონში ვკითხულობთ: „ამ თვის თხუთმეტში ერთი პაწაწინა თეატრი გაიხსნება და შიგ ახლად შემდგარი ქართული ტრუპპა გვიგალობებს განთიადის ფსალმუნს. გამოვლენ კეთილი ადამიანები და ცხოველის სიტყვით, მოხერხებული ქცევით, ჭეშმარიტებათა დამტკიცებით, სიმართლის მხილებით, ცუდის ცხოვრების დაცინვით, ბოროტების დაქოლვით, კეთილის მაგალითებით გვასწავლიან, გონებას გაგვიხსნიან, გვასიამოვნებენ, გვაცინებენ, გაგვატარებინებენ დროს კიდეც".

აკაკი წერეთელმა ქუთაისის განახლებული თეატრი თბილისის თეატრის მსგავსად ნაციონალურ-რევოლუციური განმათავისუფლებელი მოძრაობის უმნიშვნელოვანეს კერად აქცია, სცენა თავისი დროის პროგრესიული იდეების ხალხში გავრცელებისათვის გამოიყენა და, რაც მთავარია, საბრძოლო იარაღად მომარჯვებული სასცენო ხელოვნება ცარიზმის წინააღმდეგ მიმართა. ქუთაისის თეატრი აკაკი წერეთელმა ფართოდ გამოიყენა ქართული ენის გახალხურებისა და ახალი ქართული მეტყველების დადგენისათვის ბრძოლაში.

1885 წლიდან ქუთაისის თეატრს სათავეში ჩაუდგა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის რეალისტური სკოლის შესანიშნავი მსახიობი კოტე მესხი, რომელმაც თავისი ოსტატობა ფრანგული აქტიორული სკოლის ტრადიციების შეთვისებით გაამდიდრა.

კოტე მესხმა ქუთაისის სცენას დაუახლოვა სახელგანთქმული მსახიობები ნატო გაბუნია, ვასო აბაშიძე, ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილი, კოტე ყიფიანი და სხვ. ამ დიდი მსახიობების გამოსვლებს ქუთაისის სცენაზე უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თეატრის სცენიური კულტურისა და მხატვრული გემოვნების ზრდა-განვითარებისათვის.

ამ პერიოდში ქუთაისის თეატრი დიდ მატერიალურ გაჭირვებას განიცდიდა. თეატრს არ გააჩნდა მინიმალური სახსრებიც კი წარმოდგენების დასადგმელად, გარდერობის შეძენაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. „ეფემია კლდიაშვილისამ კეთილსინდისიერად შეასრულა როლი, — ვკითხულობთ მაშინდელ რეცენზიაში, — მაგრამ სახე გამოცვლილი არა ჰქონდა (გრიმიროვკა), და იმავე კაბით და ლენტის სარტყლით იყო სცენაზედ, რომლითაც ქალაქში დილით დაიარებოდა".

მიუხედავად მატერიალური მხრივ ასეთი კრიტიკული მდგომარეობისა, ნაციონალურ-რევოლუციური განმათავისუფლებელი იდეებით შთაგონებული მსახიობები თავგანწირულებას, საქმისადმი სიყვარულს და თავდადებას იჩენდნენ. ათეული წლების მანძილზე, მიუხედავად ცარიზმისაგან დევნა-შევიწროვებისა, შიმშილ-წყურვილისა, უბინაონი და უსახლკარონი, თავადაზნაურებისაგან ათვალისწუნებულნი, მაგრამ მშრომელ მაყურებელთა სიყვარულით გამხნევებულნი ღირსეულად ატარებდნენ ქართული სცენის მსახიობის სახელს და სავსებით ამართლებდნენ თავიანთ მოწოდებას.

1900-იანი წლებიდან იწყება ახალი ხანა. დიდი სტალინის ხელმძღვანელობით საქართველოს მუშათა კლასი და გლეხობა ირაზმება ცარიზმთან და ბურჟუაზიასთან გადამწყვეტი ბრძოლისათვის. მუშათა მოძრაობის განვითარება იწვევს ქუთაისის თეატრის ახალ აღმავლობას და პირველი რევოლუციის პერიოდში ახერხებს მასების ბრძოლას გამოეხმაუროს.

ამ პერიოდში ქუთაისის თეატრს ხელმძღვანელობს ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის რეალისტურ თეატრში აღზრდილი, ქართული სცენის მშვენება და სიამაყე ლადო მესხიშვილი.

ლადო მესხიშვილმა ქუთაისის სცენაზე შემოიკრიბა ნიჭიერი ახალგაზრდობა, გამოავლინა და აღზარდა აქტიორთა და დრამატურგთა ახალი თაობა — ნ. ჩხეიძე, ალ. იმედაშვილი, ვ. შალიკაშვილი, კოტე მარჯანიშვილი, შ. დადიანი, ი. ზარდალიშვილი, დ. ივანიძე, ვ. ბალანჩივაძე, ნ. ჯავახიშვილი, ნ. დავითაშვილი მ. მდივანი, მ. ქორელი და სხვ.

ლ. მესხიშვილმა, განაგრძო რა თეატრში განმტკიცებული რეალიზმის გზა, განაახლა რეპერტუარი კლასობრივი უსამართლობის წინააღმდეგ მიმართული პიესებით, საბრძოლო პათოსი მისცა აქტიორულ შესრულებას და თეატრის განვითარებას ახალი ეტაპი შეუქმნა. მაგრამ ლ. მესხიშვილი ამითაც არ კმაყოფილდება. ის გატაცებით ებმება რევოლუციურ მოძრაობაში, მიტინგებზე და სცენიდან წარმოსთქვამს მოწოდებების მგზნებარე სიტყვებს და სცენიდან ისეთ განწყობილებას ჰქმნის, რომ ხალხი თეატრიდან რევოლუციური სიმღერებით გამოდის. ყოველივე ეს აღბეჭდილია ჟანდარმერიის დოკუმენტებში. ჟანდარმთა პოლკოვნიკი ნიკოლაევი 1905 წ. მოახსენებდა თავის უფროსებს: „ა. წ. 25 აგვისტოს ქუთაისის თეატრში ქართული დასის არტისტების წარმოდგენის დროს მეორე აქტში სცენიდან არტისტმა მესხიშვილმა წარმოსთქვა ქართულად სიტყვა, რომლითაც ხალხს მოუწოდებდა მთავრობასთან ბრძოლისათვის. წარმოდგენის შემდეგ ხალხი რევოლუციური სიმღერებით დაიშალა".

თავად-აზნაურები თავს ესხმიან ლ. მესხიშვილს — „აზნაურების სამარეს გვითხრისო". მაგრამ მესხიშვილი გაბედულად გამოდის და ამხელს თავად-აზნაურების ზნეობრივ და გონებრივ გაპარტახებას. შესანიშნავი ის არის, რომ მესხიშვილი ამითაც არ კმაყოფილდება, მას გამოაქვს თეატრის ქონება, კლასიკური გიმნაზიის შენობასთან ბარიკადებს აგებს და მზად არის დაიცვას რევოლუცია.

ქუთაისის თეატრის ეს პერიოდი ქართული თეატრის ისტორიის ყველაზე სახელოვანი ფურცელია.

რევოლუციის შემდეგ წლებში ქუთაისის თეატრის რევოლუციურ-რომანტიკულ ტრადიციებს ინარჩუნებენ მესხიშვილის მიერ აღზრდილი ოსტატები: ვალ. შალიკაშვილი, შ. დადიანი და მ. ქორელი. აღსანიშნავია, რომ 1910 წელს ქუთაისის თეატრმა შესძლო დაედგა პროლეტარიატის დიდი მწერლის მ. გორკის ორი პიესა „ნაძირალნი" და „უკანასკნელნი", რასაც ქუთაისის თეატრისათვის საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა. ამავე დროს თეატრის რეპერტუარს ავსებს ვ. შალიკაშვილის, შ. დადიანის, ი. გედევანიშვილის და სხვ. ორიგინალური პიესები. ამ პერიოდში ქუთაისის სცენაზე გამოჩნდნენ ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობები: ა. მურუსიძე, შ. ხონელი, ვ. ჩხიკვაძე და სხვ.

მენშევიკების ბატონობის წლები იქცა ქუთაისის თეატრისათვის დაცემისა და გაპარტახების წლებად. ცნობილია, რომ 1919 წ. მთავრობამ ფულის მაშინდელი კურსით 7 ათასი მანეთიც კი ვერ გაიღო თეატრის დეფიციტის დასაფარავად, და თეატრის არსებობა საალაბედოდ დარჩა.

მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოხდა ქუთაისის თეატრის ისეთი ძალით განახლება, რომ მან მთელი საბჭოთა კავშირის ყურადღება მიიპყრო. ქუთაისის თეატრის დიდი ტრადიციების განმგრძობად გვევლინება რუსეთის სასცენო ასპარეზზე მომწიფებული, სახელოვანი ოსტატი კ. მარჯანიშვილი, რომელმაც გარს შემოიკრიბა თბილისისა და ქუთაისის თეატრებში აღზრდილ მსახიობთა კადრები: ა. იმედაშვილი, ი. ზარდალიშვილი, თ. ჭავჭავაძე, ვ. ანჯაფარიძე, დ. ანთაძე, ე. დონაური, უ. ჩხეიძე, შ. ღამბაშიძე, ა. ჟორჟოლიანი, ა. ქიქოძე, ა. მურუსიძე, ს. ყალაბეგიშვილი, ვ. ჩხიკვაძე და სხვ.

ამ კოლექტივმა სულ რამდენიმე წლის მუშაობის შედეგად შექმნა თეატრი, რომელიც ახლა კ. მარჯანიშვილის თეატრის სახელწოდებით თბილისში მუშაობს და ერთერთ მოწინავე თეატრად არის ცნობილი.

ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხ. **ლ. პ. ბერიას** მზრუნველობითა და ინიციატივით 1938 წლიდან კვლავ ახალი ძალით გაიშალა ქუთაისის თეატრის მუშაობა. ქუთაისის თეატრს ამ დროიდან ხელმძღვანელობს საქმის კარგი მცოდნე და ორგანიზატორი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ამხ. დოდო ანთაძე.

ქუთაისის თეატრის ფართო შემოქმედებითი მუშაობა ამ ორი წლის მანძილზე მიმდინარეობს ისეთ რეჟისორ-მსახიობთა მონაწილეობით, როგორიც არიან: რეჟისორი გრ. სულიაშვილი და აქტიორული სკოლის საუკეთესო წარმომადგენლები: ალ. იმედაშვილი, ი. ზარდალიშვილი, ც. ამირაჯიბი, ა. მურუსიძე, შ. ხონელი, ვ. ჩხიკვაძე და სხვ. ახალი თაობის აქტიორთაგან ქუთაისის თეატრში წარმატებით მუშაობენ კ. აბესაძე, მ. სვანიძე, თ. ღვინიაშვილი, ს. ვაჩნაძე, თ. კიკნაძე, ვ. მეგრელიშვილი, გ. ნაცვლიშვილი, ვ. გვენცაძე, თ. ტატიშვილი, ელ. ჭავჭანიძე, ხვიჩია და სხვ. ქუთაისის თეატრში მუშაობენ მოწინავე მხატვრები და კომპოზიტორები: დ. კაკაბაძე, თ. ვახვახიშვილი და სხვ. ორი წლის დაძაბული შემოქმედებითი მუშაობის შედეგად ქუთაისის თეატრმა განახორციელა ისეთი პიესების დადგმა, როგორიცაა: „ოტელო", „ნაპერწკლიდან", „ლადო კეცხოველი", მ. გორკის „მტრები", „გუშინდელნი", „გმირთა თაობა", „კოლმეურნის ქორწინება", „გრაფის ქვრივი", „გ. სააკაძე" და სხვ.

ამჟამად ქუთაისის თეატრი აღმავლობის ახალ ეტაპს განიცდის. 60 წლის იუბილე, რომელსაც ქართველი ხალხი უხდის ქუთაისის თეატრს, არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს ამ თეატრის უნაკლოდ მუშაობას. პირიქით, თეატრს ჯერ კიდევ აქვს მთელი რიგი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი, რომლებიც დაბლა სწევენ თეატრის მხატვრულ-შემოქმედებით დონეს. საჭიროა მეტი მონდომება, უფრო ძლიერი შემოქმედებითი მუშაობა, რათა მაყურებელს მივაწოდოთ მხატვრულად უკეთესად გამართული სპექტაკლები.

ის დიდი ყურადღება და მზრუნველობა, რომელსაც იჩენენ პარტია და მთავრობა ქუთაისის თეატრისადმი, ის დიდი საზოგადოებრივი ყურადღება, მაყურებელთა სიყვარული, რომლითაც გარსშემორტყმულია ქუთაისის თეატრის კოლექტივი, უკანასკნელის დაძაბული შემოქმედებითი მუშაობის პირობებში უზრუნველჰყოფს თეატრის შემდგომ წარმატებებს.

◆

დარბაზობა რიგაში ლატვიაში დაბანაკებული საბჭოთა ჯარის სარდლობის პატივსაცემად

რიგა, 28 ივნისი (საკდესი). თავდაცვის მინისტრმა გენერალმა დამბიტისმა 26 ივნისს ოფიცერთა კლუბში გამართა დარბაზობა ლატვიაში დაბანაკებული საბჭოთა ჯარის სარდლის გენერალ-ლეიტენანტ კუზნეცოვის პატივსაცემად. დაესწრნენ საბჭოთა ჯარის სარდლობის წარმომადგენლნი, ლატვიის არმიის სარდალი გენერალი კლიავინში, კავშირგაბმულობის შტაბის უფროსი გენერალი ჰარტმანისი, ლატვიის არმიის შტაბის უფროსის მოვალეობის ამსრულებელი პოლკოვნიკი იესკე, ადმირალი სპადე და სხვები. თავდაცვის მინისტრმა გენერალმა დამბიტისმა, რომელიც მიესალმა ლატვიაში დაბანაკებული საბჭოთა ჯარის უმაღლეს სარდლობას, სთქვა: „მოხარული ვარ, რომ საშუალება მეძლევა ლატვიის დედაქალაქში ლატვიის არმიისა და მისი სარდლობის სახელით მივესალმო სსრ კავშირის ჩვენი მეგობარი წითელი არმიის დიდად პატივცემულ წარმომადგენლებს. ჩვენი სახელმწიფოებისა და არმიების უმჭიდროესი თანამშრომლობა, რაც დადებული და ცხოვრებაში გატარებული ურთიერთდახმარების პაქტის მეოხებით დამყარებულია ჭეშმარიტ მეგობრობაზე და ღრმა ურთიერთ ნდობაზე, წარმოადგენს ჩვენი სახელმწიფოს საზღვრებისაგან ომის საფრთხის აცილების ერთადერთ და უდავოდ საიმედო საწინდარს და მშვიდობიანი მშენებლობის ლატვიისა და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრული თანაცხოვრებისა და აყვავების საწინდარს.

მე აღვნიშნავ წითელი არმიის მაღალ დისციპლინას და სამაგალითო ორგანიზებულობას, რაშიაც ყოველ ჩვენთაგანს საშუალება ჰქონდა დარწმუნებულიყო ლატვიის დედაქალაქში და სხვა პუნქტებში მისი შემოსვლის დროს, და ჩემის მხრით და ლატვიის არმიის სახელით გარანტიას ვიძლევი, რომ ჩვენ ჯეროვანი ყურადღებით მოვეპყრობით ყოველ მის საჭიროებას, რისთვისაც იგი ჩვენ მოგვმართავს.

გაუმარჯოს ჩვენი ხალხებისა და არმიების მეგობრობას!

გაუმარჯოს ურთიერთდახმარების პაქტს!

გაუმარჯოს სსრ კავშირსა და მის ხალხებს!

გაუმარჯოს სახელოვან წითელ არმიას, მის ბელადებს, მის ყველა მეთაურს და მეომარს!"

ლატვიაში დაბანაკებული საბჭოთა ჯარის სარდალი გენერალ - ლეიტენანტი ამხ. კუზნეცოვი გამოვიდა საპასუხო სიტყვით, რომელშიაც განაცხადა, რომ „საბჭოთა კავშირსა და ლატვიას შორის დადებული ურთიერთდახმარების პაქტის შესრულება და ლატვიელი ხალხისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ინტერესების ურთიერთგაგება ხელს შეუწყობს მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას საბჭოთა კავშირის ხალხებსა და ლატვიელ ხალხს შორის".

ლატვიის საზოგადოებრივ საქმეთა მინისტრ ბლაუსის სიტყვა

რიგა, 28 ივნისი (საკდესი). გუშინ რადიოთი სიტყვა წარმოსთქვა ლატვიის საზოგადოებრივ საქმეთა მინისტრმა ბლაუსმა. თავის სიტყვაში, რომელიც მიმართული იყო ლატვიის მუშებისა, მშრომელი გლეხობისა და მშრომელი ინტელიგენციისადმი, მან განაცხადა: „დაეცა ძველი პლუტოკრატიული მთავრობა. ჩვენ მთელი გულით ვგრძნობთ კმაყოფილებასა და სიხარულს ჩვენი ძვირფასი სამშობლოს განთავისუფლების გამო. მთავრობა მთელი ყურადღებით მოეპყრობა ხალხის საჭიროებებს. მან უკვე დასახა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებანი. ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, განვამტკიცებთ მჭიდრო კავშირს საბჭოთა კავშირთან და მეგობრობას მის არმიასთან, რათა ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობა და უშიშროება საიმედო იყოს. ჩვენი ამოცანაა უზრუნველვყოთ სახელმწიფოს ინტერესები და განვახორციელოთ ხალხის დემოკრატიული უფლებები. ყოველივე გაკეთდება იმისათვის, რომ აღდგენილ იქნას სიტყვის, პრესისა და საზოგადოებათა თავისუფლება. ასეთი თავისუფლება ჩვენ დღემდე არა გვქონია. ლატვიის პრესა ხალხის ნამდვილ ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. პრესა დაეხმარება მთავრობას მის პასუხსაგებ მოღვაწეობაში და, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირთან გულწრფელი მეგობრობის განმტკიცების საქმეში. ახლა იწყეს გამოსვლა გაზეთებმა „ცინიამ" და „კომუნისტმა", რომლებიც მოწინავე საზოგადოებრიობის აზრს გამოჰხატავენ. გადადგმულია აგრეთვე ნაბიჯები, რომ განახლებულ იქნას წინანდელი გაზეთების რედაქციების ხელმძღვანელობა, ამ სამუშაოზე დაყენებულ იქნან ახალი ადამიანები. ჩვენ ვიზრუნებთ აგრეთვე იმისათვის, რომ ლატვიაში შეიძლებოდეს საბჭოთა კავშირის ლიტერატურისა და პერიოდულ გამოცემათა თავისუფლად გავრცელება. ჩვენ ვიზრუნებთ აგრეთვე იმისათვის, რომ იბეჭდებოდეს შრომები ჩვენი ახალგაზრდა და ნიჭიერი მწერლებისა და პოეტებისა, რომლებსაც დღემდე წართმეული ჰქონდათ სიტყვა და რომლებსაც სდევნიდა ძველი მთავრობა. ჩვენი თეატრების რეპერტუარი შეიცვლება. სწორედ ასევე შეიცვლება რადიოგადაცემათა შინაარსი.

მთავრობამ მოსპო კამერების არსებული სისტემა, ვინაიდან ეს კამერები ლატვიელი ხალხის ინტერესებს არ შეესაბამებოდა. ამის მაგალითად გამოდგება შრომის კამერა, რომელმაც თავისი მრავალი წლის არსებობის მიუხედავად, ვერავითარი ნდობა ვერ დაიმსახურა მუშათა წრეებში. მუშაობა საწარმოო ძალთა გასავითარებლად, მუშაობა ნაციონალური კულტურის გასავითარებლად გადაცემული იქნება თვით მუშების ხელში.

ახლა ჩვენს ხალხს შეუძლია ისარგებლოს საზოგადოებათა შექმნის თავისუფლებით. ამ თავისუფლებით სარგებლობა შეუძლია ყველას, გარდა ხალხის მტრებისა, 1934 წლის 15 მაისის გადატრიალების ორგანიზატორების და მონაწილეებისა. უკვე ლეგალურად დაიწყო მოღვაწეობა ლატვიის კომუნისტურმა პარტიამ.

ამჟამად ხორციელდება არსებულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელობის შეცვლა. ეს განკარგულება შეეხება ხელმძღვანელობის შეცვლას პროფესიულ ორგანიზაციებში, ხელოსანთა საზოგადოებებში და სხვ. იქმნება ამ ორგანიზაციების დროებითი გამგეობები. შემდეგში განსაკუთრებით მხარს დავუჭერთ ისეთი ორგანიზაციების მოღვაწეობას, რომლებმაც მიზნად დაისახეს საბჭოთა კავშირთან კულტურული ურთიერთობის შემდგომი განვითარება.

ფაბრიკებსა და საწარმოებში არსდება მუშათა კომიტეტები. ისინი ხალხის ინტერესების ჭეშმარიტი გამომხატველნი არიან. მუშათა კომიტეტები დაარსდება ყველა კერძო, სახელმწიფო და კომუნალურ საწარმოში, სადაც არის ხელფასიან მუშაკთა გარკვეული რაოდენობა. წვრილ საწარმოებში მუშათა კომიტეტებისათვის გათვალისწინებულ მოვალეობებს შეასრულებს მუშათა წარმომადგენელი. მუშათა კომიტეტების წევრებს ირჩევენ საწარმოს მუშები ფარული და პირდაპირი კენჭისყრით. მუშათა კომიტეტები იბრძოლებენ შრომის დისციპლინის დაცვისათვის, იმუშავებენ შრომის დაცვის საკითხებზე, ისინი მოაგვარებენ ყველა სადავო საკითხს და უთანხმოებას საწარმოს ადმინისტრაციასა და მუშებს შორის. მუშათა კომიტეტები მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე შრომის კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადებაში, იზრუნებენ მუშათა უფლებრივ, მატერიალურ და კულტურული მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის.

მთავრობა ახლა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ქალთა და მცირეწლოვანთა შრომის დაცვას. ვაშენოთ და განვამტკიცოთ ჩვენი სამშობლო ჩვენი მეგობარი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკებს კავშირთან მჭიდრო ურთიერთობით".

ლიტვის ქალაქებსა და სოფლებში

კაუნასი, 28 ივნისი (საკდესი). ლიტველი გლეხები ისტორიულ დღეებს განიცდიან. სმეტონას რეჟიმის უღლისაგან განთავისუფლებული გლეხები იკრიბებიან მიტინგებზე, დემონსტრაციებზე. ყველა გულწრფელ მადლობას გამოსთქვამს წითელი არმიის მეომრების, მეთაურებისა და პოლიტმუშაკების მიმართ, წითელი არმიისა, რომელთანაც მათ პირველ დღეებიდანვე მეგობრული ურთიერთობა დაამყარეს. ლიტვის ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილის გლეხები, განსაკუთრებით ტაურაგეს მაზრის მცხოვრებნი, სადაც სმეტონას რეჟიმის წლებში არაერთხელ მოხდა გლეხების აჯანყება, ახლა თავისუფლად იკრიბებიან მიტინგებსა და კრებებზე. უდიდესი სიხარულით მიესალმებიან ისინი საბჭოთა კავშირსა და წითელ არმიას. გლეხები აცხადებენ: „სიხარულით ვეგებებით თქვენს მოსვლას, ახლა ჩვენთვის სასიხარულო, სადღესასწაულო დღეები დადგა".

ტელშიაიში ქალაქის მცხოვრებლებს წითელი არმიის ნაწილებთან შეხვედრის დროს ქუჩაში გამოჰქონდათ რძე, კენკრა, ბურახი. ქალები ამბობდნენ: „თქვენ ჩვენი დამცველნი და განმანთავისუფლებელნი ხართო".

ლიტვის მთელი გლეხობა გულმხურვალედ შეხვდა წითელი არმიის ნაწილებს. კრებებზე, მიტინგებზე, დემონსტრაციებზე ლიტველი გლეხები სალამს უძღვნიან ამხანაგ სტალინს, საბჭოთა კავშირს, წითელ არმიას, თავიანთ სახალხო მთავრობას და ლეგალიზებულ კომპარტიას.

გუშინ ქალაქ შაულიაიში გაიმართა 10-ათასიანი მიტინგი. ბაზრის დიდი მოედანი მორთული იყო წითელი დროშებით, პლაკატებით, ტრანსპარანტებით. ყველგან მოჩანდა ამხანაგი სტალინის, მოლოტოვის, ვოროშილოვის, ტიმოშენკოს პორტრეტები. მიტინგზე გამოსულნი დიდ მადლობას გამოსთქვამდნენ და ერთგულებას აღუთქვამდნენ ხალხთა განმანთავისუფლებელს — ამხანაგ სტალინს.

მთელი ლიტველი ხალხი ქალაქებსა და სოფლებში ესალმება თავისი სახალხო მთავრობის ღონისძიებებს, მიმართულს ლიტველი და საბჭოთა ხალხების მეგობრობის განმტკიცებისაკენ.

გუშინ კაუნასში ერთერთ ხალხმრავალ მიტინგზე გამოვიდა შინამოსამსახურეთა წარმომადგენელი ცივინსკაიტე. მან განაცხადა:

„ჩვენი ბატონები ადამიანებად არ გვთვლიდნენ. გვეუბნებოდნენ, რომ ჩვენ არაფერი არ უნდა გვაინტერესებდეს გარდა ბატონის სამზარეულოსი და სარეცხისა, მაგრამ წავიდა ის დრო. ჩვენმა ძვირფასმა წითელმა არმიამ ჩვენც მოგვიტანა სიცოცხლე. წინადადება შემომაქვს შევძახოთ სამგზის „ვალი!" („ვაშა!") ჩვენი მშობლიური სტალინის პატივსაცემად!

გვეუბნებოდნენ, რომ ჩვენი საქმე მხოლოდ მუშაობა დღედაღამ. ჩვენ გვაშინებდნენ, რომ ჩვენი უბოროტესი მტრები არიან კომუნისტები. სტყუოდნენ ისინი, ძვირფასო მოქალაქენო! კომუნისტები ჩვენი საქმისათვის იტანჯებოდნენ. ახლა ისინი თავისუფალნი არიან. კომპარტიაც თავისუფალია. წინადადება შემომაქვს მილოცვა გავუგზავნოთ ჩვენს კომპარტიას. ახლა ჩვენ უნდა მოვაწყოთ ჩვენი პროფკავშირი, მოვითხოვოთ რვა საათის სამუშაო დღის, ყოველკვირეული გამოსასვლელი დღის შემოღება და ხელფასის მომატება".

ლიტველ მუშებთან, მოსამსახურეებთან და ინტელიგენციასთან ერთად წითელარმიას მიესალმებიან ლიტვის არმიის ჯარისკაცები. მრავალ წერილში გაზეთების რედაქციებისადმი ლიტველი ჯარისკაცები მოითხოვენ ზოგად - განმანათლებელი სწავლის შემოღებას ლიტვის არმიაში, საზოგადოებრივ მუშაობაში თავისუფალ მონაწილეობას, აგრეთვე კოსტელებში სავალდებულო სიარულის გაუქმებას.

ესტონეთ-ლატვიის სამხედრო თავდაცვითი კავშირის გაუქმება

ტალინი, 28 ივნისი (საკდესი). ესტონეთის საინფორმაციო ცენტრი იუწყება: „მთავრობის წინადადებით, რესპუბლიკის პრეზიდენტმა ა. წ. 28 ივნისის გადაწყვეტილებით გააუქმა ესტონეთსა და ლატვიას შორის 1923 წლის 1 ნოემბერს დადებული სამხედრო თავდაცვითი კავშირი და მიანდო საგარეო საქმეთა მინისტრს აცნობოს ეს ლატვიის მთავრობას.

ესტონეთ-ლატვიის სამხედრო-თავდაცვითი კავშირის გაუქმება ესტონეთის რესპუბლიკის ახალმა მთავრობამ თავის გადაუდებელ ამოცანად მიიჩნია, ვინაიდან ეს კავშირი აშკარად ეწინააღმდეგება ესტონეთსა და სსრ კავშირს შორის დადებულ ურთიერთდახმარების პაქტს".

მუშები წესრიგს იცავენ

რიგა, 27 ივნისი (საკდესი). ლიბავაში წესრიგის სამსახურის შესრულებას შეუდგა 45 კაცი იმ მუშათაგან, რომლებიც ადგილობრივმა საქარხნო კომიტეტებმა წამოაყენეს. ამ მუშებს მკლავზე აქვთ წითელი ლენტი, რომელზედაც გაკეთებულია წესრიგის სამსახურის ნიშანი. მუშაობა განაახლა პოლიციამაც.

ლატვიელი ხალხი მიესალმება სსრ კავშირს

რიგა, 27 ივნისი (საკდესი). მთელს ლატვიაში კვლავ იმართება დემონსტრაციები, მიტინგები და კრებები. ლატვიის მშრომელნი მხურვალედ მიესალმებიან ლატვიის ახალ მთავრობას, საბჭოთა კავშირსა და წითელ არმიას. ქალაქ დურბში გაიმართა მშრომელთა ხალხმრავალი კრება. ქალაქ ტუკუმში გამართულ დემონსტრაციაში მონაწილეობდა 5 ათასამდე კაცი. ამ დემონსტრაციის შესახებ გაზეთმა „პროლეტარსკაია პრავდამ" დაბეჭდა ანგარიში, სადაც სწერს: „შეიძლება დაბეჯითებით ვთქვათ, რომ მშრომელი ხალხი წარმოდგენილი იყო დემონსტრაციაზე ასი პროცენტით". ეს დემონსტრაციები მოწმობენ ლატვიელი ხალხის ულრმეს სიმპატიებს თავისი მთავრობისადმი, საბჭოთა ხალხისა და მისი არმიისადმი. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა წინათ ტუკუმში ნამუშევარ, ყოფილ პოლიტპატიმართა გამოჩენამ დემონსტრაციაზე.

გუშინ რიგის ოთხ რაიონში გაიმართა მშრომელი ახალგაზრდობის კრებები. სადგომებმა ყველა მსურველი ვერ დაიტიეს, ამიტომ საჭირო გახდა ახლომახლო ქუჩების რადიოფიცირება. კრებებზე გამოსული ორატორები ლაპარაკობდნენ, თუ რა დიდად სასიხარულოა განთავისუფლებულ ლატვიაში ცხოვრება და მოუწოდებდნენ ახალგაზრდობას აქტიური პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული მუშაობისაკენ. ორატორები ამბობდნენ: ის გარემოება, რომ ლატვიელი მოსახლეობა სიხარულით შეხვდა წითელ არმიას, ყველაზე უკეთ მოწმობს, რომ ხალხი მიისწრაფვის მტკიცე მეგობრობა დაამყაროს საბჭოთა კავშირთან. ყოველთვის, როცა ორატორები ახსენებდნენ წითელ არმიას, მშრომელები ტაშს უკრავდნენ.

კეგუმის (დვინაზე) ჰიდროელექტროსადგურში ამ დღეებში გაიმართა სახალხო დემონსტრაცია, რომელშიც უკლებლივ მიიღო მონაწილეობა სადგურისა და სხვა საწარმოების ყველა მუშა-მოსამსახურემ. დემონსტრაციაზე გამოვიდა 1500 კაცი. დემონსტრანტებს მოჰქონდათ წითელი ბაირაღები, ტრანსპარანტები და ლამაზი პლაკატები. კეგუმის ქუჩებში პირველად გაისმოდა მძლავრი ხმები „ინტერნაციონალისა", რომელსაც მღეროდნენ დემონსტრანტები. მიტინგზე გამოვიდნენ მუშები და პოლიტპატიმრები. ორატორები მხურვალედ მიესალმნენ წითელ არმიას—ლატვიელი ხალხის დამცველს. მიტინგმა ერთსულოვნად მიიღო გადაწყვეტილება ამხანაგ სტალინისათვის მისასალმებელი დეპეშის გაგზავნის შესახებ.

ახალ გამგეობათა არჩევა ლატვიის პროფორგანიზაციებში

რიგა, 28 ივნისი (საკდესი). ლატვიის ყველა პროფესიულ კავშირებში, რომელნიც მრეწველობის ყველა დარგის მუშებს აერთიანებენ, ხდება გამგეობათა შეცვლა და საქმეების, სალაროებისა და ინვენტარის გადაცემა მუშათა დელეგატების მიერ არჩეულ საორგანიზაციო კომიტეტებისა და დროებითი გამგეობებისათვის. შექმნილია ქიმიური მრეწველობის, ფეხსაცმლის მრეწველობის მუშათა, სავაჭრო დარგის მოსამსახურეთა და წიგნის მბეჭდავთა პროფესიული კავშირების ახალი დროებითი გამგეობანი. გუშინ სავაჭრო დარგის მოსამსახურეთა განსაკუთრებულმა საორგანიზაციო კომიტეტმა წინანდელი გამგეობისაგან მიიღო სავაჭრო დარგის მოსამსახურეთა საზოგადოების საქმეები და ინვენტარი. დღეს საორგანიზაციო კომიტეტი პროფესიული კავშირის საქმეებს გადასცემს დროებით გამგეობას, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს კავშირის საქმიანობას კავშირის ყველა წევრის მიერ ახალი თავმჯდომარისა და გამგეობის არჩევამდე.

გაზეთი „ცინია" ლატვიის პროფკავშირთა ამოცანების შესახებ

რიგა, 27 ივნისი (საკდესი). გაზეთმა „ცინიამ" („ბრძოლა") 26 ივნისის ნომერში მოათავსა სტატია პროფკავშირთა ამოცანების შესახებ. ახლანდელ მომენტში,—სწერს გაზეთი,—ერთერთი ყველაზე გადაუდებელი ამოცანაა პროფკავშირთა მოღვაწეობის აღდგენა. ულმანისის რეაქციული მთავრობის მიერ შექმნილი პროფკავშირები იცავდნენ არა მუშების, არამედ კაპიტალისტების ინტერესებს. მათი ლიდერები გულმოდგინედ ემსახურებოდნენ ულმანისის — ბერზინშის პლუტოკრატიულ ხროვას.

ახლა პროფკავშირების მუშაობას საფუძვლად უნდა დაედოს მასების თვითმმართველობისა და თვითმოქმედების პრინციპი. მუშები და მოსამსახურენი პროფკავშირთა ხელმძღვანელ ორგანოებში თვითონ ირჩევენ საუკეთესო, მუშათა კლასისადმი ერთგულ ამხანაგებს, რომლებიც გაწეული მუშაობის შესახებ პერიოდულად უნდა აბარებდნენ ანგარიშს თავიანთ ამომრჩევლებს.

პროფკავშირთა უმნიშვნელოვანესი ამოცანებია — ბრძოლა მუშაობის პირობების გაუმჯობესებისათვის საწარმოებში, მუშების ყოველი სახის დაზღვევისათვის და სამუშაოთი უზრუნველყოფისათვის. პროფკავშირები უნდა აწესრიგებდნენ ხელფასს, უნდა სდებდნენ კოლექტიურ ხელშეკრულებებს, აწესრიგებდნენ მუშების მიღებასა და დათხოვნას, ბრძოლას უნდა ეწეოდნენ უმუშევრობის წინააღმდეგ, უნდა ერეოდნენ ყველა კონფლიქტში, რომლებიც კი მუშებსა და მეწარმეთა შორის შეიქმნება. პროფკავშირთა წინაშე მთელი რიგი ამოცანები დგება სოციალურ კანონმდებლობასთან დაკავშირებით".

პრესის რეორგანიზაცია ლატვიაში

რიგა, 27 ივნისი (საკდესი). ლატვიის ახალი მთავრობა მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებს პრესის დარგში. საზოგადოებრივი სამუშაოს მინისტრის განკარგულებით გადაყენებულია საზოგადოებრივი სამუშაოს სამინისტროსთან არსებული პრესის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა. შეუდგნენ გაზეთების რედაქციების რეორგანიზაციას. გამოქვეყნდა დადგენილება თეთრგვარდიულ გაზეთ „სეგოდნიას" დახურვის შესახებ. გამოსვლას იწყებს „რუსსკაია გაზეტა" დემოკრატიულ ლატვიაში მცხოვრები რუსი მოსახლეობისათვის. გაზეთმა უკვე დღეს ფართოდ გააცნო მკითხველებს ყველა ღონისძიება, რომლებსაც ახალი მთავრობა ატარებს. გარდაიქმნება აგრეთვე ლატვიის უდიდესი გაზეთი „იაუნაკას ზინიასი". გაზეთის ახალი ხელმძღვანელობა მუშაობას შეუდგა. ფართოდ გავრცელდა კომუნისტური პრესა: „ცინია" („ბრძოლა")—ლატვიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო, „პროლეტარსკაია პრავდა" — კომპარტიის რიგის კომიტეტის ორგანო, „კომუნისტი"—კომპარტიის ლიბავის კომიტეტის ორგანო, „ლატგალსკაია პრავდა"—კომპარტიის დვინსკის კომიტეტის ორგანო. ეს გაზეთები დიდი პოპულარობით სარგებლობენ მოსახლეობაში.

დღეს საზოგადოებრივი სამუშაოს მინისტრმა ბლაუსმა გამოაქვეყნა განკარგულება, რომლითაც ნება დართულია სსრ კავშირში გამომავალი ყველა გამოცემის თავისუფალი გავრცელება.

ამ უკანასკნელ დღეებში შემჩნეულია დიდი მოთხოვნილება რუსულ სახელმძღვანელოებსა და რუსული ენის თვითმასწავლებლებზე. დიდი რაოდენობით ვრცელდება რუსულ-ლატვიური ლექსიკონი და რუსული გრამატიკა. მრავალ მაღაზიაში ასეთი სახელმძღვანელოებისა და ლექსიკონების მთელი მარაგი უკვე გაიყიდა.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს 1940 წლის 21 ივნისის სავალდებულო დადგენილება

„ქალაქ თბილისში ზაფხულობით მწვანე ნარგავების მორწყვის დროის შესახებ"

1. ზაფხულობით ქალაქ თბილისის და მისი გარეუბნების მოსახლეობისათვის სასმელი წყლის შეუფერხებლად მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით ქალაქ თბილისის ყველა დაწესებულებას და ორგანიზაციას, აგრეთვე ცალკეულ მოქალაქეებს ეკრძალებათ მწვანე ნარგავების (ბაღების, პარკების, სკვერების, ბოსტნების და სხვ.) მორწყვა დღის საათებში.

2. ყველა მწვანე ნარგავების (ბაღების, სკვერების, პარკების, ბოსტნების და სხვ.) მორწყვა ქ. თბილისში ა. წ. 1 ივლისიდან 16 სექტემბრამდე უნდა სწარმოებდეს მხოლოდ ღამის საათებში—საღამოს 8 საათიდან დილის 8 საათამდე.

3. იმ პირებს, რომლებიც დაარღვევენ ამ სავალდებულო დადგენილებას, ადმინისტრატიული წესით გადახდებათ ჯარიმა 100 მანეთამდე.

4. ამ სავალდებულო დადგენილების შესრულებისათვის თვალის დევნება ევალებათ ქალაქ თბილისის რაიონული საბჭოების აღმასკომებს, მუშურ-გლეხური მილიციის ორგანოებს და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური განყოფილების ტრესტ „თბილწყალსადენს".

5. ეს სავალდებულო დადგენილება ძალაში შედის მისი გამოქვეყნების 10 დღის შემდეგ.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის
თავმჯდომარე **კოჭლამაზაშვილი.**
თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის
მდივანი **ხეთაგური.**

626

საქართველოს სსრ შსსკ მ/გ მილიციის მეთაურთა ორწლიან სკოლაში სწარმოებს მსმენელების მიღება 1940-41 სასწავლო წლისათვის.

სკოლაში მისაღები პირები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ პირობებს: სკოლაში მიიღებიან ორივე სქესის პირნი 22 წლიდან 30 წლამდე ასაკისა. გავლილი უნდა ჰქონდეთ სამხედრო სავალდებულო სამსახური წითელ არმიაში (მამაკაცებს), ფიზიკურად ჯანმრთელნი.

სკოლაში შემსვლელმა მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: განათლების მოწმობა არა ნაკლებ შვიდწლედის დამთავრებისა, მეტრიკული ამონაწერი, სამხედრო ბილეთი, პასპორტი და 3 ცალი ფოტოსურათი გადაღებული უქუდოდ.

მსმენელები უზრუნველყოფილი იქნებიან უფასო კვებით, ტანსაცმელით და მიეცემათ სტიპენდია თვეში 325 მან. რაოდენობით.

გამოცდები იწარმოებს ა. წ. 15 აგვისტოდან შვიდწლედის პროგრამის ფარგლებში: დედაენაში, მათემატიკასა და გეოგრაფიაში.

სკოლაში შესვლის მსურველნი პირადად უნდა გამოცხადდნენ მოთხოვნილი საბუთებით ა. წ. 2/VII საქ. სსრ შსსკ მ/გ მილიციის სამმართველოს კადრების განყოფილების უფროსთან, ოთახი № 66.

ქ. თბილისი, ბებელის მოედანი, № 1.

საქ. სსრ შსსკ მ/გ მილ. სამმართველოს უფროსი სახ.
უშიშროების უფროსი ლეიტენანტი **ი. გუჯაბიძე.**

100

ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობები (მარცხნიდან) — ზევით: **მ. გელაშვილი, თ. კიკნაძე, ვ. მეგრელიშვილი, ვ. კინწურაშვილი;** ქვევით: **შ. ხონელი** (საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი), **ა. მურუსიძე** (საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი), **გ. ნაცვლიშვილი, ვ. ჩხაკვაძე** (საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი).

ქუთაისის თეატრის 60 წლისთავი

ქუთაისის თეატრის საიუბილეო დეკადა

(„კომუნისტის" საკ. კორ.)

ქუთაისის საზოგადოებრივობა აღფრთოვანებით ეგებება თავისი თეატრის 60 წლისთავის იუბილეს.

თეატრის საიუბილეო დეკადის სპექტაკლებს ყოველდღე დიდძალი ხალხი ესწრება. ეს სპექტაკლები ერთხელ კიდევ ადასტურებენ ამხანაგ ლავრენტი ბერიას მზრუნველობით აღორძინებული ქუთაისის სახელმწიფო თეატრის მხატვრულ-შემოქმედებითი ზრდის ფაქტს. თეატრის ფოიეში და დერეფნებში მოწყობილია მდიდარი გამოფენა, მიძღვნილი ქუთაისის თეატრის 60 წლისთავისადმი. გამოფენას დიდი ინტერესით ათვალიერებენ სპექტაკლზე დამსწრენი. იგი მნახველთ ნათელ წარმოდგენას აძლევს თეატრის მწარე წარსულზე. უკანასკნელი წლების ექსპონატები კი იმაზე მეტყველებენ, რომ ქუთაისის თეატრის და საერთოდ ჩვენი ქვეყნის ხელოვნების ოქროს ხანა მხოლოდ სტალინურ ეპოქაში დადგა.

ქუთაისის მსხვილ საწარმოებსა და დაწესებულებებში ეწყობა მუშა-მოსამსახურეთა კრებები, რომლებზედაც ეცნობიან ქუთაისის სახელმწიფო თეატრის მიერ განვლილ შემოქმედებითს გზას.

საიუბილეო დეკადის მესამე და მეოთხე დღეს ქუთაისის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს უჩვენა სეზონის უკანასკნელი პრემიერა—პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი". მთავარ როლებს ასრულებდნენ მსახიობები კ. აბესაძე (ყვარყვარე), კ. გიორგობიანი (კაკუტა), იპ. ხვიჩია (ქუჩარა), თ. ღვინიაშვილი (გულთამზე), თ. კიკნაძე (ლირსა), და სხვ.

პიესის დადგმაზე მუშაობდნენ რეჟისორი ს. ოყრეშიძე, მხატვარი ვ. ცომაია და კომპოზიტორი თ. ვახვახიშვილი.

პრემიერა მაყურებელმა კარგად მიიღო.

გ. ყურაშვილი.

„ქუთაისის თეატრი"

ქუთაისი, 29 ივნისი (საქდესი). ქუთაისის თეატრის 60 წლისთავისათვის გამოვიდა წიგნი „ქუთაისის თეატრი" (ქუთაისის სახელმწიფო თეატრის გამოცემა). წიგნის პირველ თავში—„წარსულიდან" მოცემულია თეატრის ისტორიის მიმოხილვა, თეატრის ორგანიზაციის მომენტიდან —1880 წლიდან დაწყებული საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. ეს თავი შედგენილია ამხ. შ. ქურიძის მიერ.

მეორე თავი—„თეატრის აღორძინება", რომელიც შედგენილია ამხ. პ. ბახტურიძის მიერ, წარმოადგენს ნარკვევს, რომელიც შეეხება თეატრის მუშაობას 1921-დან 1935 წლამდე. ამ თავში ავტორი დაწვრილებით ეხება იმ პერიოდს, როდესაც ქუთაისში მუშაობდა გამოჩენილი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი (1928-1930 წლები).

მესამე თავი — „ორი თეატრალური სეზონი" (ავტორი დოცენტი გ. ჯიბლაძე) მიძღვნილია ქუთაისის თეატრის მუშაობისადმი, დაწყებული 1938 წლიდან, როდესაც თეატრს სათავეში ჩაუდგა კოტე მარჯანიშვილის მოწაფე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი დ. ანთაძე.

წიგნი მდიდრულად არის ილუსტრირებული. წიგნში მოთავსებულია კ. მესხის, კ. ლორთქიფანიძის, ე. კლდიაშვილის, აკაკი წერეთლის, ვასო აბაშიძის, ლადო მესხიშვილის, ა. ლორთქიფანიძის, ვ. გუნიას, შ. დადიანის, ნ. ჩხეიძის, გ. არადელიშხნელის, კ. მარჯანიშვილის, ა. იმედაშვილის, ი. ზარდალიშვილის და სხვ. პორტრეტები.

წიგნის სარედაქციო კოლეგიაში შედიან გ. ჯიბლაძე (რედაქტორი), ვ. ლალიაშვილი და ი. ზარდალიშვილი.

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ნ. ი. მუჯირი

ქ. მოსკოვის საკავშირო ცენტრალურმა ტუბინსტიტუტმა საქართველოს შესძინა კიდევ ერთი ახალგაზრდა მეცნიერი ნიკოლოზ იასონის-ძე მუჯირი. ნ. მუჯირი საქართველოს მედინსტიტუტის აღზრდილია. სამი წლის განმავლობაში იგი ითვლებოდა საკავშირო ცენტრალური ტუბინსტიტუტის ასპირანტად და მუშაობდა ცნობილ პროფესორ სტოიკოს ხელმძღვანელობით. ამ ხნის განმავლობაში ექ. მუჯირი ღრმად დაეუფლა ქირურგიულ მეთოდებს ფილტვების ტუბერკულოზის მკურნალობის დარგში. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე შრომა, რომლებიც სპეციალისტების მიერ შეფასებულია როგორც მაღალხარისხოვანი.

მიმდინარე წლის 15 ივნისს ექ. მუჯირმა ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია შემდეგ თემაზე: „ზემო თორაკოპლასტიკა იმავ მხარეზე ხელოვნურ ბაზალურ პნევმოტორაქსთან შეფარდებით".

პროფესორმა სტოიკომ ამ შრომასაც მაღალი შეფასება მისცა და აღნიშნა მისი სარგებლიანობა ფილტვების ტუბერკულოზის მკურნალობის საკითხში.

ექ. ნ. ი. მუჯირი იმ ახალგაზრდა კომუნისტებს ეკუთვნის, რომელნიც თავიანთი დაუღალავი შრომით ამდიდრებენ საბჭოთა მეცნიერებას.

გ. თვალაძე
მედიცინის მეცნ. დოქტორი.

ერმიტაჟის 175 წელი

სახელმწიფო ერმიტაჟს მიმდინარე წელს 175 წლისთავი უსრულდება. ამ თარიღის აღსანიშნავად ხელოვნების მუზეუმი „მეტეხი" გამოაქვეყნებს პროფ. შ. ამირანაშვილის მონოგრაფიას „ირანული დაზგური მხატვრობა". მონოგრაფიაში განხილულ იქნება XVIII—XIX ს. ირანული მხატვრობის ნიმუშები, მდიდარი კოლექცია, რომელიც დაცულია „მეტეხსა" და ერმიტაჟში. მონოგრაფიას დართული აქვს 25 ფერადი და ათი ჩვეულებრივი რეპროდუქცია. მონოგრაფია გამოვა 15 ივლისისათვის.

ქუთაისის სახელმწიფო თეატრი

1 ივლისს გაიმართება
ქუთაისის თეატრის არსებობის
60 წლისთავის აღსანიშნავი საზეიმო საღამო
დასაწყისი სრულ 7 საათზე. დასწრება მოსაწვევი ბარათებით.
2—2 6900 **საიუბილეო კომისია.**

სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი

(ფუნიკულიორის პლატო)
კვირა, 30 ივნისი
1840 — აკაკი წერეთლის — 1940
დაბადებიდან 100 წლის თავისადმი მიძღვნილი საღამო-კონცერტი
დასაწყისი 9 ს. 30 წ.
პარკში მრავალფეროვანი გასართობები. მოედანზე ცეკვები. დაუკრავს ჯაზი.
დაწვრილებით აფიშებში.

ა. წ. 1 ივლისიდან ხაშური-ბორჯომის უბანზე
საკონტაქტო ქსელი დაყენებული იქნება მაღალ ძაბვის ქვეშ
დენის გამყვანი ნაწილების შეხება სასიკვდილოა
სასტიკად აკრძალულია ანძებზე ასვლა, მავთულების, ანძების და საკონტაქტო ქსელის სხვა ნაწილების შეხება.
ლ. პ. ბერიას სახ. ამ.-კ. რკ. გზის ელექტრიფიკაციის განყოფილება.

ამხ. ლ. პ. ბერიას სახ. რაისაბჭოს სოცუზრუნველყოფის განყოფილება ა. წ. 2 ივლისს დღის 12 საათზე

იწვევს ბერიას რაიონის პენსიონერთა საერთო კრებას,

რომელიც შესდგება ამხ. ვოროშილოვის სახ. კლუბში, კომინტერნის ქ. № 5. დასწრება ყველა პენსიონერისათვის სავალდებულოა.
6951 **ამხ. ბერიას სახ. რაისოცუზრუნველყოფის განყოფილება.**

მე-17 სკოლის პედკოლექტივი იუწყება ამავე სკოლის სასწავლო ნაწილის გამგის ალ. კაკულიას შვილის
პატარა გოგის
გარდაცვალებას. 6967

კოტე ქავჭანიძე, ნადია იორაშვილი, ნიკო ბორჩხაძე, გრიშა მაჭარაშვილი, იურა ვარდოიანი, გივი დეკანოზიშვილი იუწყებიან მეგობრის
კოტე ცომაიას
გარდაცვალებას. გამოსვენება 30/VI. უორესის, 65. 6962

ლ. თურმანიძე, პ. ეფრემიძე, ქ. ალიევი, შ. უკლება, ა. პერონიძე, ა. ტაბატაძე და ა. კარტოზია იუწყებიან ჯონდო ზაქარაიას დედის
ჟუჟუ ზაქარაიას
გარდაცვალებას.

მეუღლე აგრაფინა, შვილები ვახტანგ, ნინიკო იუწყებიან
გიორგი დავითის-ძე ფურცელაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 30/VI 7 ს. გამოსვენება 1/VII 6 ს. შამქორის, 35, პეტრეპავლეს სასაფლაოზე. 6960

თამარ და გია ხუციშვილები, ანიკო ბარბაქაძე იუწყებიან ნინო პეტრიაშვილის დედის
ნეოლინას
გარდაცვალებას. 6961

შვილები ჩაქა და ჯონდო, რძლები ვერა, თინა ზაქარაიები იუწყებიან
ჟუჟუს
გარდაცვალებას. პანაშვიდი 1/VII 8 ს. ბაზალეთის, 1 დაკრძალვა 2/VII, 6 ს. 6965

აკაკი წერეთლის სახელობის სკოლა და ბიბლიოთეკა

ბათუმი, 27 ივნისი (საქდესი). აჭარის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, დიდი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის სახელი მიეკუთვნა ქობულეთის საშუალო სკოლასა და ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკას.

გათხრები კოლხეთში

თბილისიდან ცხაკაიას რაიონში გაემგზავრა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის აკად. ნ. ი. მარის სახელობის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიცია.

ექსპედიცია, რომელსაც პროფ. გ. ნიორაძე ხელმძღვანელობს, განაგრძობს ნოხვამუს ტაგრუცის გათხრებს, სადაც აღმოჩენილია ძველი ნასოფლარი. ამ ნასოფლარის ხნოვანების საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს კოლხეთის დაბლობის დაჭაობიანების პროცესის გამოსაკვლევად.

მუშაობა იწარმოებს ზედაპირიდან სამ და მეტ მეტრ სიღრმეზე, რათა შესწავლილ იქნას უძველესი ფენები და ამ სიღრმეზე არსებული ხის ნაგებობანი.

(საქდესი).

საბჭოთა საქართველოში

ქუთაისი. ქუთაისის სახელმწიფო თეატრმა მორიგ პრემიერად დასდგა პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი". პიესას დიდი წარმატება ჰქონდა.

სიღნაღი. სოფელ დაბა წნორის კოლმეურნეობამ მოსავლის აღებასთან დაკავშირებით მოაწყო საბავშვო სახლი და ბაგა 60 ბავშვისათვის. სახლსა და ბაგას სუფთა და ვრცელი სადგომი დაეთმო.

სოხუმი. სახელმწიფო თეატრის შენობაში გაიხსნა მოსკოვის მხატვართა ფერწერის გამოფენა.

ძვირფასი გამოგონება

გორის საკონსერვო ქარხნის უშიშროების ინსპექტორმა ამხ. გ. თავაძემ, ქარხნის მექანიკოს ამხ. ურიგაშვილთან ერთად, გამოიგონა შუშის საკონსერვო ქილის სარეცხი მანქანა. ამჟამად ქილებს ასე რეცხავენ: ქილებს ჯერ ჩაუშვებენ როფში, რათა მოლბეს ნივთიერების ნარჩენები, შემდეგ ქილა ირეცხება სპეციალური მანქანით, მერე კი მიდის გამოსავლებელ მანქანაში. ამხ. თავაძის გამოგონება წარმოადგენს ერთ მანქანას, რომელიც სცვლის როფს, სარეცხავსა და გამოსავლებელ მანქანას.

ძველს სარეცხავ მანქანას მომსახურებას უწევს 8 კაცი, ამხ. თავაძის მანქანას კი მხოლოდ 1 კაცი.

დაახლოებითი გაანგარიშებით ახალი გამოგონება წელიწადში 5.000 მანეთ ეკონომიას მისცემს ქარხანას.

მანქანა უკვე დამზადებულია და დადგმულია ქარხნის მთავარ საამქროში.

(საქდესი).

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: **მარჯანიშვილის სახელობის**—„ანრი სეარ", **მოზარდ მაყურებელთა**—„პატარა კახი", **გრიბოედოვის სახელობის**—„ანნა კარენინა", **საქსახესტრადის საზაფხულო თეატრი**—გასტროლები მოსკოვის დრამის ანსამბლის სახ. არტისტ ვაჰრამ ფაფაზიანის ხელმძღვანელობით და მონაწილეობით — „დამნაშავის ოჯახი", **ლია ესტრადა**—საღამო - კონცერტი—სახესტრადის მეჩონგურე ქალთა ანსამბლი ა. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით, **სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი**—აკაკი წერეთლის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო-კონცერტი, **ორჯონიკიძის სახ. პარკი**—ლენინგრადის ესტრადის ანსამბლის გასტროლი გიორგი გიორგის-ძე დუკლაუს მონაწილეობით.

კინოებში: **რუსთაველის სახ.**—„ყუბანელები", **ოქტომბერი**—„უშიშარნი", **დამკვრელი** (ზაფხულის) — „ყუბანელები", **დამკვრელი** (ზამთრის) — „ყუბანელები", **კომკავშირელი** (ზაფხულის) — ჩვიდმეტი წლისანი", **კომკავშირელი** (ზამთრის) — „ჩვიდმეტი წლისანი", **ლუქსემბურგის სახ.**—„კონცერტი ეკრანზე", **სპარტაკი**—„მშვენიერი ვასილისა", **კომინტერნი**—„იხმაურე ქალაქო", **26 კომ. სახ.**—(ზამთრის)—„იხმაურე ქალაქო", **26 კომ. სახ.** (ზაფხულის)—„არინკა", **ორჯონიკიძის სახ. პარკი**—„ექიმი კალიუჟნი".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

ლიუდმილა ლებანიძე, მარიამ ნაცვლიშვილი, მარო ლობილაძე, ამალია მჭედლიძე, მირიან, შურა, ნადია რამიშვილები იუწყებიან ალექსანდრე და საშა კაკულიების შვილის
გოგის
გარდაცვალებას. 6953

ძმისწული აგრაფინა, სიძე კოლა მაჭარაძე იუწყებიან
სევერიან მერაბის-ძე სანაძის
გარდაცვალებას. ჩამოსვენება ხაშურიდან თბილისში სადგურზე 30/VI 2 ს. სადგურიდანვე დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 6954

ეგიაზაროვა, რიაბიჩინსკაია, უზნაძე, ღლონტი, სულხანიშვილი, კარიჭაშვილი, წულუკიძე, ოკუშკო, პეტერსონი, ვახვახიშვილი, ლოზინსკაია, წერეთელი იუწყებიან ვალერიან ჟვანიას მამის
ერმილე ჟვანიას
გარდაცვალებას. 6955

მშობლები გრიგოლ, ევდოკია, და თამარ, ძმები საშა, შოთა, რძალი თამარ, სიძე წვერავა იუწყებიან
კატო ქარუმიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 30/VI 6 ს. I დოლაბაურის, № 2—ა (ქალ. I საავადმყოფოდან), პეტრეპავლეს სასაფლაოზე. 6956

ქეთო ბახტაძე, ნინო შალიგინა, თამარ კიკნაძე, ქეთო ზაალიშვილი, სონია მგელაძე იუწყებიან მეგობარ
ექიმ კატო ქარუმიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 30/VI 6 ს. I დოლაბაურის, № 2—ა (ქალაქის I საავადმყოფოსთან). 6957

მშობლები სანდრო, მარო, ძმები მიტო, გაიოზ, კარლო, რძლები თამარ, ვერა რომელაშვილები იუწყებიან
ლიზა მესხის
გარდაცვალებას. გამოსვენება 30/VI 5 ს. სიონაღის, 17. 6958

შვილი ნინო, სიძე მიხეილ ჯორჯაძე, რძალი ევგენო ხატიაშვილი, შვილიშვილები ეთერ, თინა, ნაილი, მარსელიკო, ლია იუწყებიან
გრიგოლ ზაქარიას-ძე ხატიაშვილის
გარდაცვალებას. 6959

ძმა თედო, დები თამარ, სონია, ძმისწულები ვასო, არჩილ ცოლით ლარისათი, ნინო და ლეილა დოლიძეები იუწყებიან
დავით იესეს-ძე დოლიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 2/VII ქ. მახარაძეში.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების—3—21—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული ა—1325